ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 82 (9550) | სამშაბათი, 7 აპრილი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში

საბჭოთა სოციალისტური კანონიერება ხელშეუხებელია — «პრავდის» 6/IV მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
პარტიულ თემაზე. ვ. ჯიქია. — პოლიტიკა და მეურნეობა განუყოფელი არიან (მე-2 გვერდი).
ტ. თოდრაძე. — ხელიდან უშვებენ თესვის აგროტექნიკურ ვადებს (მე-2 გვერდი).
გ. მეფისაშვილი. — ახლადარჩეული დეპუტატები მუშაობას შეუდგნენ (მე-2 გვერდი).
ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით — კიროვაკანელ და თბილისელ მეტრიკოტაჟელთა [illegible] (მე-3 გვერდი).
პირველი მაისის შესახვედრად (მე-3 გვერდი).
შენიშვნები ახალ წიგნებზე (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).
მოკლედ ყოველდღიურ ახალ ამბებზე — რესპუბლიკური ქრონიკა (მე-4 გვერდი).

საბჭოთა სოციალისტური კანონიერება ხელშეუხებელია

„პრავდის“ 6/IV მოწინავე

ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა წინასწარი გამოძიების ყველა მასალისა და სხვა მონაცემების გულდასმით შემოწმების შედეგების შესახებ ექიმთა ჯგუფის საქმეზე, რომლებსაც ბრალად ედებოდათ მავნებლობა, ჯაშუშობა და ტერორისტული მოქმედება საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური მოღვაწეების მიმართ.

შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ამ საქმის გამო პასუხისგებაში მიცემული პროფესორები და ექიმები სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების ყოფილი სამინისტროს მიერ დაპატიმრებული იყვნენ უმართებულოდ, რაიმე კანონიერი საფუძვლის უქონლად. როგორც ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობაში, შემოწმებამ ცხადყო, რომ ამ პირთა წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებანი ყალბია, ხოლო დოკუმენტალური მონაცემები, რომლებსაც ეყრდნობოდნენ გამოძიების მუშაკები, უსაფუძვლოა. გამოირკვა, რომ დაპატიმრებულთა ჩვენება, რომელიც ვითომდა ადასტურებს მათ წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებს, სახელმწიფო უშიშროების ყოფილი სამინისტროს საგამომძიებლო ნაწილის მუშაკებმა მიიღეს გამოძიების ისეთი ხერხების გამოყენებით, რომლებიც დაუშვებელია და უსასტიკესად აკრძალულია საბჭოთა კანონებით.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ამ საქმის შესამოწმებლად სპეციალურად გამოყოფილი საგამომძიებლო კომისიის დასკვნის საფუძველზე, დაპატიმრებული პროფესორები და ექიმები სავსებით რეაბილიტირებული არიან მათთვის წაყენებულ ბრალდებებში და პატიმრობისაგან განთავისუფლებული არიან.

გამოძიების არასწორ წარმოებაში დამნაშავე პირები დაპატიმრებული არიან და მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს წიაღში, რომელიც მოწოდებული იყო მდგარიყო საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების საგუშაგოზე, შეთითხნილ იქნა პროვოკაციული საქმე, რომლის მსხვერპლი გახდნენ პატიოსანი საბჭოთა ადამიანები, საბჭოთა მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწენი?

ეს მოხდა უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდნენ სახელმწიფო უშიშროების ყოფილი სამინისტროს ხელმძღვანელები. ისინი მოსწყდნენ ხალხს, პარტიას, დაივიწყეს, რომ არიან ხალხის მსახურნი და მოვალენი არიან იდგნენ საბჭოთა კანონიერების საგუშაგოზე. სახელმწიფო უშიშროების ყოფილმა მინისტრმა ს. იგნატიევმა გამოიჩინა პოლიტიკური სიბრმავე და დოყლაპაობა, მოექცა ისეთი დამნაშავე ავანტიურისტების გავლენის ქვეშ, როგორიც იყო მინისტრის ყოფილი მოადგილე და საგამომძიებლო ნაწილის უფროსი რიუმინი, რომელიც უშულოდ ხელმძღვანელობდა გამოძიებას და რომელიც ამჟამად დაპატიმრებულია. რიუმინი იქცეოდა როგორც ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი ხალხის ფარული მტერი. ნაცვლად იმისა, რომ ემუშავნა საბჭოთა სახელმწიფოს ნამდვილი მტრების, ნამდვილი ჯაშუშებისა და დივერსანტების სამხილებლად, რიუმინი დაადგა მთავრობის მოტყუების გზას, დანაშაულებრივი ავანტიურიზმის გზას. ფეხქვეშ გათელეს რა სახელმწიფო აპარატის მუშაკების მაღალი მოწოდება და თავიანთი პასუხისმგებლობა პარტიის წინაშე, ხალხის წინაშე, რიუმინმა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ზოგიერთმა სხვა მუშაკმა თავიანთი დანაშაულებრივი ნიზნებისათვის დაუშვეს საბჭოთა კანონიერების ყოვლად უხეში დარღვევები, ისიც კი, რომ პირდაპირ აყალბებდნენ საბრალდებო მასალებს, გაბედეს აბუჩად აეგდოთ საბჭოთა მოქალაქეების ხელშეუხებელი უფლებები, რომლებიც ჩაწერილია ჩვენს კონსტიტუციაში.

მოწოდების სიმაღლეზე ვერ აღმოჩნდა აგრეთვე ექიმთა ჯგუფის წინააღმდეგ ბრალდებასთან დაკავშირებით შექმნილი სამედიცინო-საექსპერტო კომისია. მან არასწორი დასკვნა მისცა მკურნალობის იმ მეთოდებზე, რომლებიც თავის დროზე გამოყენებული იყო ა. ს. შჩერბაკოვისა და ა. ა. ჟდანოვის მიმართ. ნაცვლად იმისა, რომ მეცნიერული კეთილსინდისიერებით და ობიექტურობით გაეკეთებინა ავადმყოფობის ისტორიისა და სხვა მასალების ანალიზი, ეს კომისია დაემორჩილა გამოძიების მიერ შეთითხნილი მასალების გავლენას და თავისი ავტორიტეტით მხარი დაუჭირა ცილისმწამებლურ, ყალბ ბრალდებებს მედიცინის მთელი რიგი თვალსაჩინო მოღვაწეების წინააღმდეგ. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიებამ ექსპერტებს დაუმალა სამკურნალო პროცედურის ზოგიერთი არსებითი მხარე, რომლებიც ამტკიცებენ მკურნალობის სისწორეს.

საბჭოთა ხალხმა კმაყოფილების გრძნობით შეიტყო, რომ საბჭოთა მედიცინის მთელი რიგი თვალსაჩინო მოღვაწეების წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებანი აღმოჩნდა სრულიად ყალბი, რომ ეს იყო საზიზღარი ცილისწამება ჩვენი სახელმწიფოს პატიოსანი და პატივცემული მოღვაწეების წინააღმდეგ. მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებმაც დაკარგეს საბჭოთა ადამიანის სახე და ღირსება, შეეძლოთ მისულიყვნენ ეჭვამდე, რომ უკანონოდ დაეპატიმრებინათ საბჭოთა მოქალაქეები, საბჭოთა მედიცინის გამოჩენილი მოღვაწეები, აშკარად გაეყალბებინათ გამოძიება, დანაშაულებრივად დაერღვიათ თავიანთი მოქალაქეობრივი მოვალეობა.

რიუმინის ტიპის საზიზღარი ავანტიურისტები მათ მიერ შეთითხნილი საგამომძიებლო საქმით ცდილობდნენ საბჭოთა საზოგადოებაში, რომელიც შეკავშირებულია მორალურ-პოლიტიკური ერთიანობით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებით, გაეღვივებინათ ეროვნული მტრობის გრძნობა, რომელიც სრულიად უცხოა სოციალისტური იდეოლოგიისათვის. ამ პროვოკაციული მიზნებით ისინი არ მოერიდნენ საბჭოთა ადამიანების წინააღმდეგ აშკარა ცილისწამებას. მაგალითად, გულდასმითი გამოკვლევით დადასტურდა, რომ მათ ამრიგად დასწამეს ცილი პატიოსან საზოგადო მოღვაწეს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს მიხოელსს.

როგორც სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობიდან ჩანს, სახელმწიფო უშიშროების ყოფილი სამინისტროს ორგანოებმა უხეშად დაარღვიეს საბჭოთა კანონიერება, დაუშვეს თვითნებობა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. ასეთი დანაშაულებრივი მოქმედება დიდხანს ვერ დარჩებოდა გამოუაშკარავებელი და დაუსჯელი, რადგან საბჭოთა მთავრობა დგას ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა უფლებების საგუშაგოზე, მზრუნველობით იცავს ამ უფლებებს, სასტიკად სჯის, განურჩევლად პიროვნებისა და თანამდებობისა, იმათ, ვინც თვითნებობას იჩენს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ მოითხოვდნენ და მოითხოვენ, რომ ყველა ჩვენი ორგანიზაციის, მთელი სახელმწიფო აპარატის მუშაობა ექვემდებარებოდეს ხელმძღვანელი ორგანოებისა და მთელი საბჭოთა საზოგადოების ფხიზელ კონტროლს. ახლა, როცა საბჭოთა ხალხი ესოდენ ძლიერ გრძნობს და შეგნებული აქვს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების მნიშვნელობა, ჩვენ განსაკუთრებით ფხიზელნი და განსაკუთრებით მომთხოვნელნი უნდა ვიყოთ საბჭოთა სოციალისტური კანონიერების დაცვის საქმეში.

გაბედულად ააშკარავებს რა სახელმწიფო აპარატის ნაკლოვანებებს, მათ შორის თვითნებობისა და უკანონობის ფაქტებს, რასაც სახელმწიფო აპარატის ცალკეული მუშაკები სჩადიან, მთელი სიმტკიცითა და შეურიგებლობით აღმოფხვრის რა ამ ნაკლოვანებებს, საბჭოთა მთავრობა აშკარად და პირდაპირ ელაპარაკება ხალხს ამ ნაკლოვანებებზე. ეს მოწმობს საბჭოთა სახელმწიფოს, სოციალისტური წყობილების დიდ ძალას. ამ ძალის წყარო ის არის, რომ ჩვენი მთავრობა მჭიდროდ და განუყრელად არის დაკავშირებული ხალხთან, ეყრდნობა ხალხს მთელ თავის საქმიანობაში, მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

ურყევი ძლიერებითა და შემოქმედებითი ძალებით აღსავსე სოციალიზმის ქვეყანა მტკიცე რწმენით მიდის კომუნიზმის გზით. საბჭოთა კავშირში დიდი ხანია ლიკვიდირებული არიან ექსპლოატატორული კლასები. ამიტომ უცხოეთის რეაქციულ ძალებს, რომლებიც ცდილობენ აწარმოონ ძირგამომთხრელი საქმიანობა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, არ შეიძლება ჰქონდეთ ჩვენს ქვეყანაში რამდენადმე მნიშვნელოვანი სოციალური დასაყრდენი. მაგრამ საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ სანამ კაპიტალისტური გარემოცვა არსებობს, არის და კვლავაც აუცილებლად იქნება ცდები შემოგზავნონ ჩვენში ჯაშუშები, დივერსანტები. იქნება აგრეთვე ცდები ანტისაბჭოთა მიზნებით გამოიყენონ ცალკეული გარეწარნი, ბურჟუაზიული იდეოლოგიის მატარებელნი, გადაგვარებულნი. ხალხის ამ ნამდვილი, აშკარა და ფარული მტრების, საბჭოთა სახელმწიფოს მტრების წინააღმდეგ მუდამ მშრალად უნდა შევინახოთ თოფისწამალი. პარტია გვასწავლის მუდამ ვიყოთ ფხიზელნი.

სსრ კავშირის კონსტიტუციაში ჩაწერილია საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქეთა დიადი უფლებანი. სსრ კავშირის კონსტიტუციის 127-ე მუხლი უზრუნველყოფს სსრ კავშირის მოქალაქეთათვის პიროვნების ხელშეუხებლობას. არავინ არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნას, თუ არ არის სასამართლოს დადგენილება ან პროკურორის სანქცია.

სოციალისტური კანონიერება, საბჭოთა მოქალაქეების იმ უფლებათა დაცვა, რომლებიც ჩაწერილია სსრ კავშირის კონსტიტუციაში, საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების უმნიშვნელოვანესი საფუძველია.

არავის არ მიეცემა ნება დაარღვიოს საბჭოთა კანონიერება. თვითეულ მუშას, თვითეულ კოლმეურნეს, თვითეულ საბჭოთა ინტელიგენტს შეუძლია მშვიდად და რწმენით იმუშაოს, რადგან იცის, რომ მის მოქალაქეობრივ უფლებებს საიმედოდ იცავს საბჭოთა სოციალისტური კანონიერება.

დიდი საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქეს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ მის უფლებებს, რომლებიც გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით, წმიდად დაიცავს საბჭოთა მთავრობა.

ეს არის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი პირობა სსრ კავშირის ხალხთა შემდგომი მჭიდრო დაძმობისა თავიანთი საბჭოთა მთავრობის გარშემო, ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტის განუხრელი ზრდისა.

ი. ბ. სტალინის შრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და პარტიის XIX ყრილობის მასალების შესწავლა

ლენინგრადი. აქ გაიმართა ჟდანოვის რაიონის პარტიული აქტივის კრება, მიძღვნილი ი. ბ. სტალინის ნაწარმოების „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და პარტიის XIX ყრილობის მასალების შესწავლისადმი.

ამჟამად რაიონში ამ ისტორიულ დოკუმენტებს სწავლობს დაახლოებით 16 ათასი კაცი. რაიონის საწარმოებსა და დაწესებულებებში წაკითხულია სამასამდე ლექცია.

პარტიის რაიკომის ბიბლიოთეკა პროპაგანდისტულ მუშაობაში ფართოდ იზიდავს პარტიულ აქტივს, საგეგმო ინსტიტუტის და სკოლების მასწავლებლებს.

რიგა. ლატვიის მაგისტრალის რკინიგზელები სწავლობენ ი. ბ. სტალინის შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და პარტიის XIX ყრილობის მასალებს. სამი თვის განმავლობაში პოლიტგანყოფილებათა ლექტორებმა რკინიგზის რიგის, ლეპაის, ელგავის და როზეკნენის განყოფილებათა მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის წაიკითხეს 550-ზე მეტი ლექცია ი. ბ. სტალინის გენიალური ნაწარმოების შესახებ.

ველიკიე ლუკი. ქალაქის ათასობით კომუნისტი, კომკავშირელი და უპარტიო აქტივისტი სწავლობს ი. ბ. სტალინის ნაშრომს „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“. სალამობით ბევრი ხალხი თავს იყრის პარტიის ქალაქკომის ბიბლიოთეკაში. აქ რეგულარულად იკითხება ლექციები ამ კლასიკური შრომის შესახებ.

ქალაქის საწარმოებში და მშენებლობებზე პარტიული განათლების ქსელის წრეების მსმენელთა დასახმარებლად კითხულობენ ლექციების ციკლს. პარტიის ქალაქკომმა რამდენიმე ლექტორიუმი შექმნა ინტელიგენციისათვის.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საოლქო განყოფილების ძალებით წლის დასაწყისიდან წაკითხულია ექვსასზე მეტი ლექცია.

ჩვენს დიად სამშობლოში

შესანიშნავი ინიციატივა

მოსკოვის ოლქის კუპაკინის წმინდა მაუდის უაბრიკის ხტახანოველებმა მრთველმა მარიამ ეილინამ და მჭსოველმა ეკატერინე ხარკოვამ შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს — დაიწყეს სოციალისტური შეჯიბრება მეხუთე სტალინური ხუთწლედის გადაჭარბებით შესრულებისათვის ისე, რომ არ დახარჯონ დამატებითი ნედლეული და მასალები, არამედ გეგმის გადაჭარბებას მიაღწიონ ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისა და მასალების ეკონომიის შედეგად.

დახასული ამოცანის მისაღწევად მათ დაამუშავეს ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მანქანა-დანადგართა შეუფერხებელ, გამართულ მუშაობას.

ფაბრიკის კოლექტივმა მხურვალედ დაუჭირა მხარი ხტახანოველი-ნოვატორების ინიციატივას. იკისრა ხუთწლედის ბოლოსათვის დაგეგმილი ნედლეულისა და მასალების უკეთესად გამოყენების შედეგად სამშობლოს მისცეს 20 მილიონი მანეთის დამატებითი პროდუქცია.

კუპაკინელების ეს ახალი წამოწყება ფართოდ ვრცელდება მოსკოვის ოლქის საფეიქრო საწარმოებში. ს უ რ ა თ ზ ე: მარცხნივ — მარიამ ეილინა და მარჯვნივ — ეკატერინე ხარკოვა თავიანთ სამუშაო ადგილებზე.

ფოტო ე. ეფზერიხინისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

★

უსტ-კამენოგორსკის ჰესის მშენებლობაზე

უსტ-კამენოგორსკი. (საკდესი). დიდი აღფრთოვანებით შრომობენ უსტ-კამენოგორსკის ჰესის მშენებლები. ახალმშენებლობის ყოველი მეორე მუშა სტახანოველი გახდა.

კარგად მუშაობენ რაბის — ჰიდროკვანძის უმნიშვნელოვანესი ასამუშავებელი ობიექტის მშენებლები. აქ ყველა მუშა მნიშვნელოვანი გადამეტებით ასრულებს დავალებას. დიდ წარმატებებს მიაღწია ზაქარ ლატიპოვის მებეტონეთა ბრიგადამ. მარტში ეს კოლექტივი ასრულებდა საშუალოდ ერთნახევარ ნორმას, აპრილში მან თავისი გამომუშავება კიდევ 20-25 პროცენტით გაადიდა.

მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ ნიკოლოზ კოვალიოვის, ანანდილ კარინბაევისა და ჟუმაბაი ბაზილოვის მებეტონეთა ბრიგადები, ანტონ ცონევისა და სხვების ჰიდრომემონტაჟეთა ბრიგადები. აპრილში ისინი ღიღურ დავალებათა შესრულებაზე ხარჯავენ სულ ბევრი ხუთ-ექვს საათს.

მეშახტეებმა დროს გაუსწრეს

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). ტყვარჩელში მრავალმა მეშახტემ დროს გაუსწრო. სტალინის სახელობის შახტის მე-9 უბნის გამყვანი, ქვანახშირის მრეწველობის ნოვატორი, საპატიო მეშახტე ნ. ხაჩიპერაძე 1956 წლის ანგარიშში მუშაობს. ფართოდ არის ცნობილი მე-5 შახტის ექსკავატორის მემანქანის ნ. იოსავის სახელი. ამჟამად იგი 1955 წლის დავალების ანგარიშში იღებს ქვანახშირს. მეექსკავატორე ლ. სუგოკომ უკვე მეხუთე ხუთწლედის ოთხი წლისა და 11 თვის გეგმის შესრულება უზრუნველყო. 1954 წლის ივნის-აგვისტოს დავალების ანგარიშში მუშაობენ ანიბლარის შახტის მნგრეველ-მტვირთავთა ბრიგადის ხელმძღვანელი ი. ტეტოკი, ვ. კორძაია, № 3 შახტის საყელავი მანქანის მემანქანე ლ. ტყიბუჩავა, სტალინის სახელობის შახტის ამწმენდი დ. ჟორჟიძე და სხვ.

დიდება სასურსათო საქონლის გამოშვება

კიევი. (საკდესი). უკრაინის სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოები ადიდებენ სასურსათო საქონლის გამოშვებას.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში უკრაინის სსრ კვების მრეწველობის მინისტრმა ი. გ. გრიციუკმა თქვა:

— კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ კვების მრეწველობის განვითარებას. მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში გათვალისწინებულია გადიდდეს სასურსათო საქონლის წარმოება სულ ცოტა 70 პროცენტით. უკრაინის კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში მატულობს მცენარეული ზეთის, საკონდიტრო და მაკარონის ნაწარმის, პურ-ფუნთუშეულის, ყურძნის ღვინისა და სხვა საქონლის გამოშვება. შარშანდელთან შედარებით ბოსტნეულის კონსერვების გამოშვება მატულობს 50 პროცენტით, ტომატის წვნისა — ერთიორად. მოწესრიგებულია ხილ-კენკრის ექსტრაქტებისა და დიეტური პროდუქტების წარმოება.

ახალი ხუთწლედის დასაწყისიდან უკრაინაში აგებულია და გადაცემულია საექსპლოატაციოდ კვების მრეწველობის 30 დიდი საწარმო. წელს მწყობრში ჩადგება კიდევ 23 საწარმო. ფაბრიკებსა და ქარხნებში ხდება საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ინერგება სრულყოფილი ტექნოლოგია.

ქაღაქების გაზიფიკაცია

კუიბიშევი. ქალაქში მიმდინარეობს გაზიფიკაციის სამუშაოები. დღემდე გაზიფიცირებულია მშრომელთა 20 ათასამდე ბინა. გაზით გათბობაზე გადაყვანილია აგრეთვე 200-მდე კომუნალური საწარმო, სკოლის შენობა, სამკურნალო დაწესებულება.

წელს განზრახულია განხორციელდეს მშრომელთა კიდევ 3 ათასი ბინის, აგრეთვე მთელი რიგი საწარმოების გაზიფიკაცია, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებებს.

* * *

მოსკოვის კომუნალური მეურნეობის საოლქო განყოფილება შეუდგა მოსკოვის ახლო ქალაქების — ბაბუშკინოს, ხიმკის, ტუშინოს, მიტიშჩის, ლიუბერცისა და სხვათა გაზიფიკაციის პროექტების შედგენას.

ნარო-ფომინსკსა და კოლომნაში დაიწყო გაზგანმანაწილებელი სადგურების აგება. პერევოსა და ლიუბლინოში უკვე დაიწყო გაზის მიწოდება ახლადაგებულ სახლებში. მოსკოვის ახლო ყველა ქალაქში მრავალსართულიან სახლებს აპროექტებენ და აშენებენ მათი გაზიფიკაციის გათვალისწინებით. (საკდესი).

ჩქაროსნული მეთოდები ყველა ოპერაციაზე

ბაქო. 3 აპრილი. (საკდესი). ძერჟინსკის სახელობის ნავთობის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშები ლითონის ჩქაროსნულ დამუშავების მეთოდს იყენებენ თითქმის ყველა ოპერაციაზე. სახარატო, საღარავი და სახეხავი ჩარხების 85 პროცენტი გადაყვანილია ჩქაროსნულ რეჟიმზე.

გუშინ ხარატმა შეპილოვმა ჩარხის მოდერნიზაციის შემდეგ ცვლაში სამ ნორმაზე მეტი შეასრულა და ვადამდე დაამთავრა რვა საათის დავალება. ამ დღეს ასობით სხვა ჩარხოსანმაც ორ ნახევარი-სამი ნორმა შეასრულა.

თვითეული საწარმოო ოპერაციის ჩქაროსნული შესრულებისათვის შეჯიბრებაში მონაწილეობენ არა მარტო ჩარხოსნები, არამედ სხვა პროფესიათა მუშაკებიც.

მეტროს ახალ ხაზზე

5 აპრილს დილის 6 საათზე ფართოდ გაიღო მოსკოვის მეტროს არბატის რადიუსის სამი ახალი სადგურის კარები. დედაქალაქის ათასობით მშრომელი აღტაცებით ათვალიერებდა ხუროთმოძღვრების შესანიშნავ ნაწარმოებებს. ინტერესით ათვალიერებდნენ სადგურ „კიევსკაიას“, სადაც განლაგებულია 20 კედლის სურათი — ფრესკა, შესრულებული გამძლე საღებავებით. თვითეული მათგანი მოგვითხრობს რუს და უკრაინელ ხალხთა ურღვევ მეგობრობაზე, საბჭოთა უკრაინის მდიდარ და ბედნიერ ცხოვრებაზე. ყურადღებას იპყრობს სურათები მეშახტეების, მებაღეების, უხვი მოსავლის ოსტატების შესახებ.

სადგურ „კიევსკაიას“ დათვალიერების შემდეგ მგზავრები მიდიან სადგურ „სმოლენსკაიაზე“. ეს მანძილი მატარებელმა რამდენიმე წუთში გაიარა. დიდი შემოქმედებითი ინიციატივა გამოიჩინეს გვირაბგამყვანებმა, რათა მდინარე მოსკოვის ფსკერქვეშ გაეყვანათ ტრასი. ნიადაგქვეშა წყლების სიუხვის მიუხედავად, მეტრომშენებლები შეუნელებლად მიიწევდნენ წინ, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებდნენ გვირაბგაყვანის საპროექტო ნორმებს.

ლუმინესცენციური ნათურების ნაზი სინათლე ხვდება მგზავრებს „სმოლენსკაიას“ სადგურზე. თეთრი მარმარილოს მასიური სვეტები, რომლებზეც დამაგრებულია ნახევარმრგვალი კამარა, სიმსუბუქის შთაბეჭდილებას ტოვებენ. გლუვად გაპრიალებულია შავი გრანიტის იატაკი. არქიტექტორებმა ამ ახალი სადგურის გაფორმება მიუძღვნეს რუსული და საბჭოთა იარაღის მხედრულ დიდებას, საბჭოთა არმიის დიად გამარჯვებებს, რომლებიც მან მოიპოვა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

ესკალატორის გვირაბის თავზე, მოზაიკურ კოზმიდზე, რომელიც გარს არტყია მიწისზედა ვესტიბიულის შიდა ნაწილს, გამოხატულია გამარჯვების ორდენი. კოზმიდა დამზადებულია მარმარილოს მოზაიკით, ოქროს სმალტითა და ფერადი ქვებით. „1812“ და „1945“ — სამამულო ომების ეს ორი ისტორიული თარიღი ალბეჭდილია კოზმიდზე გაკეთებული დროშების ზემოთ.

მაღალ შეფასებას აძლევენ მოსკოველები სადგურ „არბატსკაიას“ შემქმნელ მშენებელთა შთაგონებულ შრომას. ეს დიდებული საინჟინრო ნაგებობა ადამიანს აოცებს თავისი სადა და მდიდარი არქიტექტურულ-მხატვრული გაფორმებით.

სადგურ „არბატსკაიაზე“ ი. გ. სტალინის მოზაიკურ პორტრეტთან დიდხანს დგანან ადამიანები და უყურებენ დიდი ბელადისა და მასწავლებლის ძერწფას სახეს. სტალინის გეგმებით იცვლის სახეს, მშვენიერდება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი.

თავიანთ აღტაცებას ნახულის გამო ადამიანები გამოხატავენ ჩანაწერებით შთაბეჭდილებათა წიგნში:

„როგორ ახალგაზრდავდები, ჩვენო ძველო საყვარელო მოსკოვო. დღითიდღე სულ უფრო მშვენიერი ხდები, ჩვენო მშობლიურო დედაქალაქო“.

„ერთი სიტყვა: შესანიშნავია!“.

„სახელი და დიდება ახალი დიადი ნაგებობის მშენებლებს“.

ეს ჩანაწერები გამოხატავენ ხალხის ფიქრსა და გრძნობებს, მადლობას პარტიისა და მთავრობისადმი მშრომელთა მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ყოველდღიური ზრუნვისათვის. შთაბეჭდილებათა წიგნში წერენ მუშები, მეცნიერები, კოლმეურნეები, მოსწავლე ახალგაზრდობა, მოსკოველები, სტუმრები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან და უცხოეთიდან ჩამოდიან.

მშობლიური დედაქალაქის კეთილმოწყობისათვის ზრუნვის პასუხად მოსკოვის საწარმოთა მუშები, მოსამსახურეები, მოსწავლეები აცხადებენ, რომ მზად არიან გააორკეცონ ენერგია შრომაში, მთელი ძალღონე მოახმარონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებას.

მოსკოვის მეტროს არბატის რადიუსის სადგურებზე 5 აპრილს იყო დედაქალაქის 200 ათასზე მეტი მშრომელი. (საკდესი).

საქართველოს კ. პ. ქუთაისის საოლქო კომიტეტის პლენუმი

ამ დღეებში შედგა საქართველოს კ. პ. ქუთაისის საოლქო კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: 1. მეაბრეშუმეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ, 2. ქუთაისის საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ბალავაძემ.

მეაბრეშუმეობას ქუთაისის ოლქის კოლმეურნეობების ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მაგრამ უკანასკნელ დრომდე მას ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა. როგორც პლენუმზე აღინიშნა, ქუთაისის ოლქმა აბრეშუმის პარკის დამზადების 1952 წლის გეგმა მხოლოდ 90,7 პროცენტით შეასრულა. გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ მაიაკოვსკის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ჩოხატაურის, საჩხერის, ჭიათურის, თერჯოლის და სხვა რაიონები. ზესტაფონის, ზუგდიდის, წულუკიძის, სამტრედიის, მახარაძის, წყალტუბოს და სხვა რაიონებში ყურადღებით არ უვლიან თუთის ხის ნარგავებს.

პლენუმმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება მეაბრეშუმეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საკითხებზე.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. რ. წულუკიძემ.

მომხსენებელმა და მოკამათეებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ ქუთაისის ოლქის კომუნისტები და ყველა მშრომელნი გულმოდგინედ სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის მასალებს და ამხანაგ ი. ბ. სტალინის გენიალურ ნაშრომს „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, და დაწვრილებით შეჩერდნენ იდეოლოგიურ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ზ. კეცხოველმა. (*კომუნისტის“ კორ.*).

აგიტატორთა სამთვიანი სკოლა

მოსახლეობაში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის მაღალ იდეურ დონეზე მოსაწყობად თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციასთან შექმნილი იყო აგიტატორთა სამთვიანი სკოლა, რომელმაც ამ დღეებში დაამთავრა მუშაობა. სკოლაში აგიტატორებმა შეისწავლეს პარტიის XIX ყრილობის მასალები, მოისმინეს ლექციები ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ შესახებ. გარდა ამისა, მათ მოისმინეს ლექციები ისეთ საკითხებზე, როგორიც არის: აგიტატორის როლი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში, როგორ გამოვიყენოთ მხატვრული ლიტერატურა და თვალსაჩინოება საუბრის დროს, აგიტატორის მუშაობის კულტურა, როგორ გამოვიყენოთ კედლის გაზეთი საagიტაციო მუშაობაში და სხვ.

ლექტორებად მოწვეული იყვნენ პარტიის თელავის რაიკომის მუშაკები და სოფლის რვაწლიანი სკოლის მასწავლებლები. („კომ.“ კორ.).

ხელიდან უშვებენ თესვის აგროტექნიკურ ვადებს

შრომითი აღმავლობის პირობებში შეხვდნენ ქარელის რაიონის კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მექანიზატორები მეხუთე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის მიმდინარე გაზაფხულს. მათ ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება, რათა წარმატებით დააგვირგვინონ ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე დაწყებული მუშაობა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მოყვანისათვის. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები პირობას იძლევიან, რომ შარშანდელთან შედარებით წელს ერთიორად და მეტად გაადიდებენ ხორბლის, სიმინდის, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის მოსავლიანობას.

წელს რაიონში მნიშვნელოვნად გადიდდა ნათესი ფართობი. კოლმეურნეებმა მოკლე დროში ხორბლისათვის დამატებით აითვისეს 2.885 ჰექტარი ახალი მიწა. აქედან მარტო სოფელ დირბის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ს. ბრეგაძე) გეგმით გათვალისწინებული 90 ჰექტარის ნაცვლად აითვისა 306 ჰექტარი.

ზოგან კარგად ითვალისწინებენ მიმდინარე გაზაფხულის თავისებურებას. ნოწინავენი ცდილობენ მაღალნაყოფიერად გამოიყენონ თვითეული დღე, საათი და კარგ შედეგებსაც აღწევენ. სოფელ დვანის, დირბის, ურბნისის, სასირეთის კოლმეურნეობები დაწინაურდნენ საგაზაფხულო სამუშაოებში.

მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ ყველგან ასეთი მდგომარეობა როდია. მთელ რიგ კოლმეურნეობებში საგაზაფხულო ხვნა-თესვის, საშემოდგომო ჯეჯილის გამოკვების ტემპი დაბალია, ხელიდან უშვებენ თესვის საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებს და უკეთესი ამინდის დადგომის მოლოდინში ჩაშლის საფრთხის წინაშე აყენებენ მინდვრის სამუშაოებს.

პარტიის რაიონული კომიტეტი, რაისაბჭოს აღმასკომი და მისი სოფლის მეურნეობის განყოფილება დღემდე რატომღაც ურიგდებიან სახელმწიფო გეგმების ძირითადად მოწინავე კოლმეურნეობათა ხარჯზე შესრულებას, ნაკლებად იღებენ ქმედით ზომებს ზოგ კოლმეურნეობაში უდარდელობის, საშუშაოთა გაჭიანურებისა და დაგვალების შეუსრულებლობის აღსაკვეთად.

გასულ წელს მზრალად ხვნის გეგმა რაიონში არ შესრულებულა. ნელი ტემპით მიმდინარეობს საგაზაფხულო ხვნაც. გეგმით გათვალისწინებული 2.851 ჰექტარიდან მოხნულია მხოლოდ 400-მდე ჰექტარი. თამარაშენის, არადეთის და სხვა კოლმეურნეობებში მრავალი ათეული ჰექტარი უნდა მოიხნას. ამ სამუშაოს დაწყების შესაძლებლობა მათ დიდიხანია ჰქონდათ, მაგრამ დროს სათანადოდ არ აფასებენ. ჩამორჩენა საგაზაფხულო ხვნაში სხვა სოფლებშიც არის.

მიუხედავად იმისა, რომ რემონტის ვადა დიდიხანია ამოიწურა, კოლმეურნეობებში კვლავ შეუკეთებელია 50-ზე მეტი გუთანი. ეს სამუშაო ყველაზე მეტად ჩამორჩა სოფლების — ელბაქიანთკარის, გვერძინეთის და ციხისგვერდის კოლმეურნეობებში.

რაიონის არც ერთ მტს-ს არ შეუსრულებია გუთნებისა და კულტივატორების შეკეთების გეგმა. მარტო აგარის მტს-ში (დირექტორი ა. ბარბაქაძე) კვლავ შეუკეთებელია 11 გუთანი, ქარელის მტს-ში (ვ. ღოღობერიძე) — 18, ხოლო რუისის მტს-ში (დ. ტიტვინიძე) — 24 გუთანი. გარდა ამისა, რუისის მტს-ს შეუკეთებელი აქვს 7 სათესი მანქანა, 24 კულტივატორი და ბევრი საოში. აგარის მტს-ში, მისაბმელ ინვენტარს რომ თავი დავანებოთ, ყველა ტრაქტორის წესრიგზე მოყვანაც ვერ უზრუნველყვეს, ორი მძლავრი ტრაქტორი შეუკეთებელია.

სატრაქტორო პარკის მუშაობაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საწვავის დროულად მომარაგებას. მაგრამ ყველგან არც ამას ითვალისწინებენ. ქარელისა და რუისის მტს-ებს არ აუთვისებიათ მათთვის გამოყოფილი საწვავი. ამ საქმის შეუფასებლობას კი შეუძლია დიდად შეაფერხოს მუშაობა. მტს-ებს მოუხდებათ საწვავის მინდვრად ზიდვა გაცხარებული მუშაობის დროს, რაც გამოიწვევს ტრანსპორტისა და მუშახელის მოცდენას. მუშაობის ასეთი ცუდი ორგანიზაციის შედეგები ნაწილობრივ უკვე ჩანს. მაგალითად, აგარის მტს-ში მიმდინარე წლის პირველი კვარტალის სამუშაოთა გეგმა დაახლოებით მხოლოდ სანახევროდ არის შესრულებული. ტრაქტორების დიდი ნაწილი მომცდარია. რამდენიმე ათეული ტრაქტორით თვეების მანძილზე საგაზაფხულოდ 127 ჰექტარზე მეტი არ მოუხნავთ, რასაც იმით „ამართლებენ“, რომ მტს-ს ეს სამუშაო გეგმით არ გაუთვალისწინებია.

ხშირად ადგილი აქვს ტრაქტორების მოცდენას ტექნიკური და ორგანიზაციული მიზეზით. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოვუღოთ.

ვხვდებით მინდვრის სამუშაოთა ხარისხის დარღვევის ფაქტებს. წესი მოითხოვს შაქრის ჭარხლის დათესვას კარგად გაწმენდილ ნაკვეთზე და მზრალის აოშვას კულტივაციის თანმიყოლეებით. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული ნიადაგის თესვისწინა დამუშავებისა და თვით თესვის დროის დაშორება. მიუხედავად ამისა, 31 მარტს სოფელ არადეთის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის ნაკვეთს, რომლის კულტივაცია ერთი კვირის წინათ ჩაატარეს და ნაწილი კიდევაც დათესეს, ტრაქტორისტი შ. ჯავახიშვილი ისე თესავდა, რომ ფართობი წინასწარ არ იყო გაწმენდილი ჩალისა და სარეველა მცენარეებისაგან. ამასთან სათესის გაწყობისას დიდძალი თესლი გროვა-გროვად მოფანტეს ნაკვეთზე. შემდეგ კი დაახლოებით 250 მეტრ მანძილზე ექვსმწკრივიანი სათესით ჭარხალი უსასუქოდ დათესეს, თუმცა მინერალური სასუქი წინასწარ ჰქონდათ მიტანილი. თესლი ალაგ-ალაგ მიწით დაუფარავი რჩებოდა. ტრაქტორისტს მუშაობაში გარდა კოლმეურნეობის ბრიგადირის ა. ქობესოვისა არავინ შველოდა. თესვას არ ესწრებოდა არც კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ტიტვინიძე, არც მტს-ის წარმომადგენელი.

კარგი თესლი უხვი მოსავლის საფუძველია. რაიონის დაბლობი ზონის კოლმეურნეობებს კარტოფილის თესვა ახლა დამთავრებული უნდა ჰქონდეთ, რათა კარგი მოსავალი მიიღონ. მიუხედავად ამისა, რაიონში 1.000-მდე ცენტნერი თესლი აკლიათ. გადაცვლის წესით თესლის შეძენა ადგილობრივაც შეიძლება, მაგრამ უყურადღებობის გამო ბევრგან ამაზე ღელმდე არ უზრუნიათ. ამის შედეგია, რომ, მაგალითად, ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც თავმჯდომარეა ა. ბაბლიძე, 40 ცენტნერზე მეტი თესლი აკლიათ. თესლის შეძენის მხრივ ასეთივე ცუდი მდგომარეობაა კეხიჯვრის, გვერძინეთის, კოდმანის და ბევრ სხვა კოლმეურნეობებში. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ზვრიის თესვაში. ბრეძის, სანებელის კოლმეურნეობები ამ სამუშაოს არც კი შესდგომიან.

ორგანული და მინერალური სასუქების საკმაო რაოდენობით შეტანა ნიადაგში მოსავლიანობის გადიდების ძლავრი საშუალებაა. ბევრგან სათანადოდ არც ამას ითვალისწინებენ, ნელი ტემპით წარმოებს სასუქების გაზიდვა და მათი ფართობებში შეტანა. გეგმით გათვალისწინებული 38.000 ტონა ნაკელიდან უმეტესი ნაწილი ახლა გაზიდული და გამოყენებული უნდა იყოს, მაგრამ დავალება მხოლოდ ერთი მესამედით არის შესრულებული. რაიონში ურიგდებიან ისეთ ფაქტებს, როცა ასობით ტონა სასუქიდან მთელ რიგ კოლმეურნეობებში ერთი ტონაც არ გაუტანიათ, მუშახელი და ტრანსპორტი მომცდარია.

ჯეჯილის საგაზაფხულო დამატებით გამოკვებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. კოლმეურნეობები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებას. კოლმეურნეობათა გამგეობებს და მათ თავმჯდომარეებს, ბრიგადირებს მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვებათ ამ საქმეში. შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როცა ბრეძის კოლმეურნეობაში სრულებით არ გაუნოყიერებიათ 650 ჰექტარი ნათესი, ჭანდრების კოლმეურნეობაში — 210, ღვლევის კოლმეურნეობაში — 120 ჰექტარი. „საქსოფლმომარაგების“ ქარელისა და აგარის საწყობებში დიდი რაოდენობით არის დაგროვილი მინერალური სასუქები. საჭიროა დავაჩქაროთ მათი გატანა და გამოყენება.

რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ვალია სწრაფად აღმოფხვრან ნაკლოვანებები, უზრუნველყონ საგაზაფხულო თესვის დავალებათა წარმატებით შესრულება.

აგრონომი ტ. თოდრაძე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებით ამხ. ს. დ. იგნატიევი განთავისუფლებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან.

ახლადარჩეული დეკუზაჯები მუშაობას შეუდგნენ

— ის დიდი ნდობა, რომელიც თქვენ გამომიცხადეთ უბრალო მწველავ ქალს და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოში ასარჩევად დამსახელეთ, მავალებს გაათეცცბული ენერგიით ვიმუშაო საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ენერგიასა და უნარს არ დაგიშურებ იმისათვის, რომ პატიოსნად ვემსახურო ხალხს, შევასრულო ამომრჩეველთა მოთხოვნები, — ასე განაცხადა წინასაარჩევნო კრებაზე კოლმეურნე ნინო ჩოგოვაძემ. რომელიც სოფელ გუმბრის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა დაასახელეს წყალტუბოს რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

მშრომელებმა თავიანთი ღირსეული წარმომადგენელი 22 თებერვალს ერთსულოვნად აირჩიეს დეპუტატად.

დაიწყო ამ რიგითი, შრომისმოყვარე კოლმეურნე ქალის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი დღეები. მან ამოცანად დაისახა: თუ შარშან გეგმით გათვალისწინებულ 9.500 ლიტრი რძის ნაცვლად 10.530 ლიტრი მიიღო, წელს თვალსაჩინოდ გაადიდოს ეს მაჩვენებელი. ამასთან ერთად მან გადაწყვიტა აქედანვე საფუძვლიანად შეისწავლოს ამომრჩეველთა საჭიროებანი და თავის მუშაობაში გათვალისწინოს მათი მოთხოვნები.

დეპუტატი შეუდგა მოვალეობის შესრულებას. ამომრჩევლებმა მასთან შეხვედრის დროს ბევრი რამ საყურადღებო თქვეს, განსაკუთრებით მოსთხოვეს დეპუტატს ყურადღება მიაქციოს შიდასასოფლო გზის კეთილმოწყობას. დეპუტატმა ჩაიწერა ყველა საკითხი და შემდეგ პირად სამუშაო გეგმაში გათვალისწინა.

პირველად ნინო ჩოგოვაძე სასოფლო გზის წესრიგზე მოყვანას შეუდგა. პირველ კვირაობაში, რომელიც მისი ინიციატივით მოეწყო, მრავალმა კოლმეურნემ მიიღო მონაწილეობა. პირადად იგი ყველასათვის მაგალითის მიმცემი იყო მუშაობაში. ამ დღეს ერთ კილომეტრზე მეტი დაზიანებული გზა შეკეთდა.

უპარტიო კოლმეურნე ქალი ნ. ჩოგოვაძე ხშირად დადის რაისაბჭოს აღმასკომში, ამომრჩეველს ეხმარება საჭირბოროტო საკითხების ნოგვარებაში, თანდათან ეჩვევა მასობრივ-ორგანიზატორულ მუშაობას, აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი ხდება.

ეკონომისტ მარიამ ბერიძეს კარგად იცნობენ წყალტუბოს რაიონის მშრომელები. მისი, როგორც წყალტუბოს სადაბო საბჭოს დეპუტატის, მუშაობის დასაწყისს დაემთხვა რაიონში „ტყის დღის“ ჩატარება. დეპუტატმა დარაზმა ამომრჩეველები, ასობით კაცი გამოიყვანა სამუშაოდ, და ნ ათასამდე ძირი მცენარე დარგეს. მ. ბერიძე გულისხმიერად ეკიდება ამომრჩეველთა ყოველ შენიშვნას და ენერგიულად მუშაობს მშრომელების საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

არჩევნების შემდეგ ერთი თვეც არ იყო გასული, რომ რაიონული საბჭოს დეპუტატი პეტრე ჩხეიძე წყალტუბოდან სოფელ ფარცხანაყანევში გაემგზავრა და თავისი ამომრჩევლები ინახულა. ესაუბრა კოლმეურნეებს, გაიგო მათი გულისნადები და აღუთქვა დახმარება. მას ამომრჩეველებმა სთხოვეს დახმარებოდა ელექტროგაყვანილობის მოწესრიგებაში. დეპუტატმა საკითხი დააყენა რაისაბჭოს აღმასკომში. მალე ეს საკითხი მოწესრიგდება.

პ. ჩხეიძე სპეციალობით ექიმია და თავის მრავალფეროვან მუშაობაში გათვალისწინებული აქვს სისტემატიური წაიკითხოს მშრომელებთან ლექცია-მოხსენებები მედიცინის აქტუალურ საკითხებზე.

რაიონში მოწინავეა გვიშტიბის ლ. კაკანიოიძის სახელობის კოლმეურნეობა. მის წინასწარში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შალვა ჩაჩიძეს. ამიტომ იყო, რომ იგი წელსაც აირჩიეს რაიონული საბჭოს დეპუტატად.

ამ სოფლის ერთი უბანი, რომელსაც დღემდე ელექტროგაყვანილობა არა აქვს, დეპუტატს თაოსნობით მალე ილიჩის ნათურებით გაჩირაღდნდება. უკვე დამზადდა 120 ცალი ბოძი და სხვა საჭირო მასალები, 6 კილომეტრზე ხაზი ძირითადად მზად არის დასამონტაჟებლად.

სოფლის მ-წლიანი სკოლის რეკონსტრუქციისათვის დეპუტატის ინიციატივით მიზიდულია 400 კუბმეტრი ქვა, 120 კუბმეტრი სილა და სხვა საშენი მასალები.

დეპუტატი დიდი ყურადღებით ეკიდება სასოფლო გზების კეთილმოწყობას. მისი თაოსნობით გზების პირას დაირგო 8.500 ძირი მცენარე, აქედან 2 ათასი ძირი წიფვიანი ხე.

აკეთია წყალტუბოს რაიონული საბჭოს ახლადარჩეული ზოგიერთი დეპუტატის პირველი ნაბიჯები. მათს მაგალითს სხვა დეპუტატებმაც უნდა მიბაძონ.

ბ. მეფისაშვილი.

ღიღუბის ხიდის მშენებლობაზე

გაცხოველებით მიმდინარეობს დიღუბაში მტკვარზე ახალი საკალაქო ხიდის მშენებლობა. ეს ხიდი უმოკლესი მანძილით დაკავშირებს თბილისის მარცხენა მხარეს საქართველოს სამხედრო გზატკეცილთან და დიღმის ველის მიდამოებთან, საგრძნობლად განტვირთავს ავტომტრანსპორტის ჭარბი ნაკადისაგან საბურთალოს, ხელს შეუწყობს დიღმის ველის ჭახლობელი უბნების საცხოვრებელ უბნებად ათვისებას.

ხიდის პროექტის ავტორია ინჟინერი კ. ფიდიძე. არქიტექტურული გაფორმება ეკუთვნის სტალინური პრემიის ლაურეატს, არქიტექტორ ა. ქურდიანს.

დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ხიდის მშენებლებში პარტიისა და მთავრობის ახალმა დადგენილებამ სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასების შემცირების შესახებ. საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიისა და მთავრობის ასეთი მზრუნველობის სამასუხოდ ხიდის მშენებლებმა იკისრეს სამშენებლო სამუშაოები ისე წარმართონ, რომ უზრუნველყონ ხიდზე მოძრაობის ზაფხულში გახსნა.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის გაჩაღებულია თავდადებული შრომა. შუა თაღის დაბეტონება და ქარგილების შემოხსნა უკვე დაამთავრეს. ამჟამად დაკვრითი წესით მიმდინარეობს მუშაობა ზედა და ქვედა თაღების ბეტონის სამუშაოთა მოკლე ვადაში დასამთავრებლად.

ჩქარი ტემპით სრულდება ხიდის მოსაპირკეთებელი სამუშაოები. დიდი სამუშაოებია შესრულებული განივი კედლების მშენებლობის ვადამდე დამთავრებისათვის მშენებლობის დაჩქარების მიზნით აქ საქარხნო წესით ამზადებენ ხიდის სავალი ნაწილისათვის განკუთვნილ დეტალებს. ქარხნებმა მიეცათ დაკვეთები ხიდის მოაჯირების დასამზადებლად.

ხიდის ვადამდე დამთავრებისათვის მშენებლებს შორის მასობრივად გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. ამ შეჯიბრებაში მონაწილეთაგან ბოლო ხანებში ყველას გაუსწრო მეარმატურეთა ბრიგადამ, რომელსაც დ. ნიკიშინი ხელმძღვანელობს. ბრიგადა ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 170-200 პროცენტით ასრულებს და ერთიორად ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

შრომითი თავდადების საუკეთესო მაგალითებს იძლევიან ავტომძღოლები — კ. ბენბაშვილი და ზ. მძღლური. მებეტონეზერე დ. კობეკი და მექანიკოსი ა. ზასლანოვსკი, რომლებიც სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს 130-140 პროცენტით ასრულებენ და საშვავ-საცხები მასალის საგრძნობ ეკონომიას იძლევიან.

ა. სილაგაძე.

პარტიულ თემაზე

პოლიტიკა და მეურნეობა განუყოფელი არიან

ლენინ — სტალინის პარტიის XIX ყრილობამ საბჭოთა ხალხს დაუსახა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები. ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებენ ქვანახშირის და განსაკუთრებით კოქსვადი ქვანახშირის ამოღების მნიშვნელოვან გადიდებას, ქვანახშირის საბადოების დამუშავების მეთოდის სისტემატურ გაუმჯობესებას, კომპლექსური მექანიზაციისათვის უახლესი სამთო მექანიზმების ფართოდ დანერგვას, ქვანახშირის მრეწველობის შემდგომ ხელახალ შეიარაღებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ქალაქ ტყვარჩელის მეშახტეებმა მეხუთე სტალინური ხუთწლედის ეს მოთხოვნები საფუძვლად დაუდეს თავიანთ მუშაობას და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა ხელმძღვანელობითა და დახმარებით მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ ქვანახშირის ამოღების შემდგომ ზრდაში.

ხელმძღვანელობს რა უკვდავი სტალინის მითითებით იმის შესახებ, რომ „არ შეიძლება პოლიტიკის გამოყოფა მეურნეობისაგან“, ქალაქის პარტიული ორგანიზაცია სათავეში უდგას მეშახტეთა შრომითს ინიციატივას და წარმართავს მას სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ყოველდღიურ მიღწევებს განაპირობებს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესება. საქალაქო პარტიული ორგანიზაციის ყოველდღიური საზრუნავი ის არის, რომ სამეურნეო მუშაობა შეხამებული იქნას პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობასთან. ასეთი მუშაობის შედეგად 1952 წელს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა ქვანახშირის ამოღების გეგმა შეასრულა 108,2 პროცენტით, სამთო სამუშაოთა გაყვანის გეგმა — 114,4 პროცენტით. ქვანახშირის თვითღირებულება შემცირებულია 2 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გადიდდა 11,8 პროცენტით.

ტრესტმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მიმდინარე წლის პირველ კვარტალშიც. კვარტალური გეგმის გადამეტებით ამოღებულია ათასობით ტონა ქვანახშირი.

1952 წლის IV კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უკვე მერვედ მოიპოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

სერიოზული მიღწევებია მოპოვებული ქვანახშირის ამოღების ყველაზე შრომატევადი პროცესების და პირველ რიგში ლავებში ქვანახშირის აწმენდის, სამთო სამუშაოთა გაყვანისას ქვანახშირისა და ქანის დატვირთვის, აგრეთვე ლავების გამაგრების პროცესების მექანიზაციის საქმეში.

ტყვარჩელის შახტებში ფართოდ არის გამოყენებული შრომის ისეთი მოწინავე მეთოდი, როგორიც არის ციკლურობის გრაფიკი. აღნიშნული წესი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შრომის ორგანიზაციას და უზრუნველყოფს ქვანახშირის ამოღების გეგმის რიტმულად შესრულებას. ტრესტში ციკლურობის გრაფიკზე გადაყვანილია 8 უბანი.

ქვანახშირისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან კომუნისტები. ისინი თავდადებული შრომის მაგალითებს იძლევიან. ბევრ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას სწორად ესმის მის წინაშე მდგომი ამოცანები. ისინი პარტიულ-პოლიტიკურ შეშაობასს უნარიანად ახამებენ სმეურნეო მუშაობასთან და სწორად ახორციელებენ ხელმძღვანელობასა და კონტროლს შახტების ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობისადმი.

კარგად არის დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სტალინის სახელობის შახტში. ამ შახტის პირველადი პარტიული ორგანიზაცია მუდამ იჩენს ინტერესს სამეურნეო საკითხებისადმი, რაზმავს კომუნისტებსა და უპარტიო აქტივს ქვანახშირის გეგმის აუცილებლად შესრულებისათვის. პარტორგანიზაცია ეხმარება ჩამორჩენილ უბნებს და აჰყავს ისინი მოწინავეთა დონემდე.

იღებს რა მხედველობაში, რომ სტალინის სახელობის შახტი უაღრესად მექანიზებული საწარმოა, პარტიული ორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს ტექნიკური კადრების მომზადების საკითხებს. შახტის პარტბიუროს ინიციატივით 1952 წელს მოწყობილ იქნა კადრების ტექნიკური სწავლება და საკმაო რაოდენობით იქნენ მომზადებული ქვანახშირის კომბაინისა და ელექტრომავლების მემანქანეები. 200-მდე კაცი სწავლობდა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე. ამჟამად შახტს საკმაო რაოდენობით ჰყავს კვალიფიციური კადრები.

პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ გარკვეული მუშაობა შეასრულა იმისათვის, რომ გაეხორციელებინა საქართველოს კ. პ. ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებანი მოწინავე ტექნიკის დანერგვისა და უბნების ციკლურობის გრაფიკზე გადაყვანის შესახებ. ამ ღონისძიებათა განხორციელებით შესაძლებელი გახდა სტალინის სახელობის შახტის გადაქცევა მოლიანი მექანიზაციისა და ციკლურობის საწარმოდ. ამ შახტის ორ წამყვან უბანზე — № 8 და № 9 უბნებზე იყენებენ დიდი წარმადობის ქვანახშირის კომბაინს „დონბასს“. ქვანახშირის გამოსაზიდად ლავებსა და სანგრევებში მუშაობენ უახლესი ტიპის ტრანსპორტიორები. დაწყებულია ლავების გამაგრება ლეთინოს ბიგებით. ამ შახტის ყველა ლავი გრაფიკით მუშაობს — ასრულებს ერთ ციკლს დღეღამეში.

ყოველივე ამის შედეგად სტალინის სახელობის შახტმა ქვანახშირის ამოღების 1952 წლის გეგმა შეასრულა 113,5 პროცენტით, სამთო სამუშაოთა გაყვანის გეგმა — 128,6 პროცენტით, ქვანახშირის თვითღირებულების შემცირების შედეგად მიღებულია 345 ათასი მანეთი ეკონომია, შრომის ნაყოფიერებამ შეადგინა გეგმის 110,5 პროცენტი. 1953 წლის სამ თვეში შახტმა ჩვენს ქვეყანას ნახშირი ამოიღო 1952 ათასობით ტონა ქვანახშირი მისცა.

შახტის ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის გაუმჯობესების, წარმოების კულტურის ამაღლების საქმეში დიდი როლი შეასრულეს შრომის ნაყოფიერების გადიდების პირადმა სტახანოვურმა გეგმებმა, რომლებითაც მუშაობს ნარდად მომუშავე მეშახტეთა დიდი უმრავლესობა. ეს მეთოდი ფართოდ გავრცელდა მეშახტეთა შორის და ამასთან დაკავშირებით 1952 წელს შრომის ნაყოფიერება 11,3 პროცენტით გადიდდა. მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული ნოვატორი გამყვანის ნ. ხაჭიპერაძისა მოწინავე მეთოდის დასანერგავად, რომლის თაოსნობასაც მხურვალედ დაუჭირეს მხარი შახტის ყველა უბანში. ნ. ხაჭიპერაძის გამოცდილების გამოყენების შემდეგ გამყვანებმა იწყეს თვეში 11 გრძივი მეტრის გაბურღვა ნაცვლად 8,75 გრძივი მეტრისა.

პარტიული ორგანიზაცია და საშახტო კომიტეტი სერიოზულ ყურადღებას აქცევენ სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას. ამის შედეგად მეშახტეთა დიდი უმრავლესობა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს გამომუშავების ნორმებს. მაგალითად, მებიგე ს. კარეტნიკოვმა 1952 წლის ნორმა შეასრულა 174,3 პროცენტით, ხოლო 1953 წლის იანვრისა — 172 პროცენტით. მემანქანე შ. კორთხონჯიამ 1952 წელს გამოზიდა 34.206 ტონა ქვანახშირი. ეს 10.000 ტონითა და ნეტით აღემატება ნორმას. 120-150 პროცენტით ასრულებენ თავიანთ ნორმებს კომუნისტები — ლებელი გახდა სტალინის სახელობის შახტის ოსტატი ა. ბაკუროვი, გამყვანი ა. ტაბატაძე, მებიგე გ. ბაბი და სხვები.

აღნიშნული ამხანაგები არა მარტო მოწინავე სტახანოველები, არამედ კარგი საზოგადოებრივი მუშაკებიც არიან. მაგალითად, ნ. ხაჭიპერაძე საუბნო პარტიული ორგანიზაციის მდივანია, ამხ. ბაკუროვი — უბნის პროფორგანიზატორი, ამხ. კორთხონჯია — აგიტატორი. ისინი პოლიტიკური განათლების წრეებში მეცადინეობენ და დიდი ინტერესით სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს და ამხანაგ ი. ბ. სტალინის ისტორიულ სიტყვას ყრილობის საბოლოო სხდომაზე, რომლებიც მათ ძალასა და ენერგიას მატებენ უკეთ მუშაობისათვის. მაგალითად, პარტიის XIX ყრილობის მასალების გაცნობის შემდეგ ამხ. ხაჭიპერაძემ ვალდებულება იკისრა მიმდინარე ხუთწლედის ნორმა შეასრულოს 1953 წლის 1 მაისისათვის.

ქვანახშირისათვის ბრძოლაში გარკვეულ წარმატებებს აღწევენ ბერიას სახელობის, № 4 ახიბლარის, № 3 და № 5 შახტების კოლექტივები. ყველა ეს შახტი მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებს ქვანახშირის ამოღებისა და სამთო სამუშაოთა გაყვანის გეგმებს. უახლესი საბჭოთა სამთო ტექნიკის და მუშაობის მოწინავე გამოცდილების დასანერგავად სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა ბერიას სახელობის შახტში. პარტიის საქალაქო კომიტეტმა მიმდინარე წლის დასაწყისში მიიღო გადაწყვეტილება ამ შახტში ოთხი საექსპლოატაციო უბნის ციკლურობის გრაფიკზე გადაყვანის შესახებ. ოთხი უბნიდან ორი უკვე მუშაობს ამ გრაფიკის მიხედვით და მაღალ წარმადობას აღწევს. მნიშვნელოვნად გადიდდა ქვანახშირის ამოღება მას შემდეგ, რაც № 6 უბანზე 1953. წლის თებერვლიდან გამოყენებულ იქნა ქვანახშირის კომბაინი „დონბასი“. ამ შახტის საპროექტო სიმძლავრის წარმატებით ასათვისებლად მიმდინარე წლის ბოლომდე შახტის ხელმძღვანელობას და პირველადს პარტიულ ორგანიზაციას კიდევ მოუხდებათ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონის

პირველი მაისის შესახვედრად

დაწინაურებული მგლინავები

რუსთავი. („კომუნისტის“ კორ.). სტალინის სახელობის ამერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის ძირითად საამქროებს შორის გაშლილ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში საამაყო შრომითს მაჩვენებლებს აღწევს მილნამზადის საამქროს კოლექტივი, რომელსაც ხელმძღვანელობს სტალინური პრემიის ლაურეატი, ინჟინერი ა. ბოროვკოვი.

მგლინავებმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმის გადამეტებით გაგლინეს ათასობით ტონა ფოლადი, გასწიეს დიდძალი ელექტროენერგიის, საწვავის ეკონომია და გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით წუნი ერთისამად შეამციერეს. ამასთან მგლინავები წარმატებით ნერგავენ წარმოებაში ტექნიკის ახალ მიღწევებს. წელს მათ საბჭოთა კავშირში პირველებმა აითვისეს ევრეთწოდებული უცენტრო-სარანდავი დაზგა, რომელიც მექანიკურად წმენდს ნაგლინის ზედაპირს და ამით საგრძნობლად უადვილებს მუშაობას ლითონის ამომკვეთელს.

ახალგაზრდა სპეციალისტის კ. ქელიაევის ცვლის მგლინავებმა მარტში კვლავ შეინარჩუნეს პირველობა, გაგლინეს თვიური ნორმა 135 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ასობით ტონა მილნამზადი. ცვლის კოლექტივი საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება და იანვრის აპრილში გეგმის გადამეტებით გამოუშვას 500 ტონა ნაგლინი, დაზოგოს 1.000 კილოვატსაათი ელექტრენერგია, 5.000 კილოგრამი საწვავი, 120 ტონა ლითონი, 1,5 პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება და მინიმუმამდე დაიყვანოს წუნი.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან ოპერატორები — ვ. კირვალიძე, ა. ჯაჯანიძე, კ. კოკაია, მეალეკვი ა. ზურაშვილი, მეჩოლი ს. შაიშმელაშვილი და ლითონის ამომკვეთელი გ. დიდებაშვილი, რომლებიც ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს დიდი გადაჭარბებით ანაღდებენ.

აბრეშუმის მქსოველთა ვაღლებული

თბილისის აბრეშუმაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა პირველი კვარტალის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 102,9 პროცენტით შეასრულა.

ფაბრიკის კოლექტივი ჩაება საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და გადაწყვიტა აპრილის გეგმა შეასრულოს ვადამდე, გეგმის გადამეტებით გამოუშვას 43 ათასი მეტრი მზა ქსოვილი, 13 ათასი მეტრი აბრეშუმის ხამი ქსოვილი, პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გაადიდოს გეგმასთან შედარებით ერთი პროცენტით, აითვისოს და დანერგოს მოდური მოჩითულობის ძვირფასი ქსოვილების გამოშვება.

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მქსოველთა ის ბრიგადები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ს. ფაჩუაშვილი, ა. კახიანი და ა. ხაჩატუროვი. ბრიგადები დიდი გადაჭარბებით ასრულებენ გამომუშაების ნორმებს, მინიმუმამდე ამცირებენ წუნს, ზრდიან პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას, მაღალნაყოფიერად იყენებენ დაზგებს.

ენერგიული და ნაყოფიერი შრომით სახელი გაითქვეს მქსოველებმა — ნ. მელიქიძემ, ე. ურთაშვილმა, ო. გოხაძემ, ო. გერასიმოვამ, ე. მეხრაძემ, რომლებიც გამომუშავების ყოველდღიურ ნორმებს 120 პროცენტით ასრულებენ. აგრეთვე წარმატებით მუშაობენ და 140 პროცენტით ანაღლებენ დავალებებს მქსელაკვები — ლ. მინიკინა, ლ. შადურინა, მ. ორჯონიკიძე და ზ. ჟვანია.

აბრეშუმმქსოველებს შორის ახალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია სასურსათო და სამრეწველო საქონლის საცალო ფასების შემცირებამ. შრომელთა კეთილდღეობაზე პარტიისა და მთავრობის ამ მზრუნველობის პასუხად ფაბრიკის კოლექტივი ენერგიის დაუზოგავად მუშაობს საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის.

სურათზე: კიროვაკანელი და თბილისელი ფეიქრების შეხვედრა ფაბრიკა „საქტრიკოტაჟში“. ფოტო ვ. ზარიძისა.

ხაღხთა სტაღინური მეგობრობის დროშით

კიროვაკანელ და თბილისელ მეფეიქროეთა შეჯიბრება

დღითიდღე ვითარდება და მტკიცდება ჩვენი ქვეყნის მშრომელთა უდიდესი მონაპოვარი — ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა. განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულებას პოულობს ეს მეგობრობა მოძმე სომხეთისა და საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა ურთიერთ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა სომხეთის სსრ კიროვაკანის სატრიკოტაჟო ფაბრიკის დელეგაცია, რომელიც ეწვია ფაბრიკა „საქტრიკოტაჟს“.

ჩამოსულთა შორის არიან ფაბრიკის დირექტორი ს. პეტროსიანი, ოსტატის თანაშემწე ნოვატორი ნ. მოვსესიანი, სტახანოველი მკერავი ლ. კარაკეშიანი, ფაბრიკის ტექნიკური განყოფილების უფროსი ნ. კოზლოვა, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. კარლანიანი.

თბილისელი ფეიქრები უკვე ეჯიბრებიან მოძმე აზერბაიჯანის ბაქოს ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო საწარმოს — „აზტრიკოტაჟისა“ და სომხეთის ლენინაკანის ტრიკოტაჟის ფაბრიკების კოლექტივებს.

კიროვაკანის ტრიკოტაჟის ფაბრიკა უახლესი მოწყობილობით აღჭურვილი საწარმოა. იგი 1947 წელს გადაეცა საექსპლოატაციოდ. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება კიროვაკანელებმა 102,1 პროცენტით შეასრულეს.

— ჩვენი ჩამოსვლის მიზანია, — გაანაცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა ამხ. ს. პეტროსიანმა, — ახლოს გავეცნოთ თბილისელ ფეიქრებს, რომელთაც მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ, დავდოთ სოციალისტური ხელშეკრულება მათთან მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს თბილისელებმა. „საქტრიკოტაჟის“ კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 103,2 პროცენტით გაანაღდა. განსაკუთრებით კარგი შედეგებია მიღწეული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. გეგმით გათვალისწინებული 77 პროცენტის ნაცვლად მამაკაცისა და ქალის წინდების თითქმის 87 პროცენტი პირველი ხარისხისაა, მნიშვნელოვნად ამაღლდა ტრიკოტაჟის ქსოვის ხარისხიც.

გუშინ კიროვაკანელი ფეიქრების თანდასწრებით ფაბრიკაში გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საერთო კრება, რომელზეც გაფორმდა სოციალისტური ხელშეკრულება თბილისის „საქტრიკოტაჟისა“ და კიროვაკანის სატრიკოტაჟო ფაბრიკების კოლექტივებს შორის.

ქართველი და სომეხი მეტრიკოტაჟეების შეჯიბრება დადასტურებაა იმისა, თუ რა თავდადებულად იბრძვიან საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის გარშემო მტკიცედ დარაზმული ჩვენი ქვეყნის ხალხები პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელებისათვის.

600.000 მანეთი შემოსავალი

გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის კოლმეურნეობამ შარშან 20 ჰექტარი ახალი ვენახი გააშენა. წელს აქ 25 ჰექტარის გაშენებას ვარაუდობენ, ამ მიზნით 393.600 ცალ ნამყენ ვაზს ამზადებენ.

კოლმეურნეობას 18 ჰექტარზე მოწყობილი აქვს ფილოქსერისგამძლე ვაზის სადედე. წელს აქედან გურჯაანის და მეზობელი რაიონების კოლმეურნეობებს 600.000 მანეთის მწარე ვაზის ლერწი მიჰყიდეს.

რაჟდენ პაიჭაძის ბრიგადამ ვალდებულება იკისრა წელს მიიღოს ერთი მილიონი ცალი 110-სანტიმეტრიანი ლერწი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 450.000 ცალისა. ამ ვალდებულების გასანაღდებლად განსაკუთრებით ზეციოთად მუშაობენ კოლმეურნეები ზ. ჯაჯახიშვილი, ზ. კვირიკაშვილი, მარიამ ღარიბაშვილი, მანია მახარობლიშვილი და სხვები.

მომავალი წლისათვის ფილოქსერისგამძლე ვაზის სადედიდან კოლმეურნეები ერთ მილიონ მანეთი შემოსავალს მიიღებენ. („კომუნისტის“ კორ.).

ივ ფარჭის დაკრძალვა

პარიზი, 4 აპრილი. (საკდესი). პარიზის ათეულ ათასობით მშრომელი დაესწრო დღეს პერ-ლაშეზის სასაფლაოზე საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატის ივ ფარჭის დაკრძალვას. სასაფლაოს შესასვლელთან გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი, რომელზეც სიტყვები წარმოთქვეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარემ ფრედერიკ ჟოლიო-კიურიმ, პასტორმა ბოსკმა, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარემ და საფრანგეთის ქალთა კავშირის თავმჯდომარემ ეფენი კოტონმა, აბატმა ბულიენ, შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანმა ჟიულ დიუშამ, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრმა ფრანსუა ბაიუმ, იტალიის პარლამენტის დეპუტატმა, იტალიის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის კომიტეტის წარმომადგენელმა გენერალმა როვედამ და საფრანგეთის ეროვნული კრების დეპუტატმა ემანუელ დ'ასტიე დე ლა ჟიერიმ.

მიტინგზე გამოსულმა ყველა ორატორმა აღნიშნა ივ ფარჭის თვალსაჩინო როლი ჰიტლერულ ოკუპანტთა წინააღმდეგ, საფრანგეთის ეროვნული დამოუკიდებლობისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ივ ფარჭის დაკრძალვაში, გამსვენებულის ოჯახის წევრებისა და მეგობრების გარდა, მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა ჟაკ დუკლოს მეთაურობით, ეროვნული კრების დეპუტატებმა პიერ კოტმა და ჟილბერ დე შამბრუნმა, გენერალმა პეტიმ, საფრანგეთის მშვიდობის ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა ფერნან ვინმა, სხვა პროგრესული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილმა მოღვაწეებმა.

ივ ფარჭის საფლავის წინ კომუნარათა კედელთან, ანრი ბარბიუსისა და პოლ ელიუარის საფლავების გვერდით, ჩაიარა ათეულ ათასობით პარიზელმა მშრომელმა, რომლებიც გამოეთხოვნენ ფრანგი ხალხის ერთგულ შვილს, მშვიდობისათვის გამოჩენილ მებრძოლს.

ალბანეთის მინისტრთა საბჭოს დადგენილება რესპუბლიკის ყოველწლიური პრემიების მიკუთვნების შესახებ

ტირანა, 6 აპრილი. (საკდესი). ალბანურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება 1952 წლის მეცნიერების, გამომგონებლობის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში თვალსაჩინო მიღწევებისათვის რესპუბლიკის პრემიების მიკუთვნების შესახებ.

რესპუბლიკის მე-2 ხარისხის პრემიები მიეკუთვნათ მეცნიერების დარგში მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს კრისტატ ციპოს ნაშრომისათვის „ალბანური ენის სინტაქსი“, გამომგონებლობის დარგში — ჯეფდეთ ლაზის ჟანგბადის მაღალპროდუქტიული დანადგარის შექმნისათვის, ლიტერატურის დარგში — დიმიტრი შუტერიკს რომან „გამმათავისუფლებლების“ პირველ ნაწილში. ხელოვნების განყოფილებაში რესპუბლიკის მე-3 ხარისხის პრემიები მიეკუთვნათ მაატვარ ნეფმედინ ზაიმის სურათისათვის „ბოთხრობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შესახებ“ და მოქანდაკე ლაზარე ნიკოლას ეროვნული გმირის სკანდერბეგის მარმარილოს ბიუსტისათვის.

საზეიმო სხდომა ბუდაპეშტში, მიძღვნილი საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლების მე-8 წლისთავისადმი

ბუდაპეშტი, 3 აპრილი. (საკდესი). დღეს ბუდაპეშტში გაიმართა უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტისა და ბუდაპეშტის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, მიძღვნილი საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლების მე-8 წლისთავისადმი.

სხდომის პრეზიდიუმში არიან: უნგრეთის მთავრობისა და უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და უნგრეთის მშრომელთა პარტიის გენერალური მდივნის მატიას რაკოშის მეთაურობით, უნგრეთის მშრომელთა პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს წევრები, სსრ კავშირის ელჩი უნგრეთში ე. დ. კისელიოვი.

სხდომა გახსნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ იშტვან დობიმ. მან განაცხადა, რომ უნგრელი ხალხი დიდად გლოვობს უნგრელი ხალხის მეგობრისა და მასწავლებლის ი. ბ. სტალინის გარდაცვალებას. თავმჯდომარის წინადადებით დარბაზმა ფეხზე ადგომით სცა პატივი ი. ბ. სტალინის ხსოვნას.

მოხსენება საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლების მე-8 წლისთავის შესახებ გააკეთა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ არპად ხაზიმ.

უნგრელი ხალხი, განაცხადა არპად ხაზიმ, უდიდესი მადლობით ფიქრობს დიდ საბჭოთა კავშირზე, რომელსაც იგი უნდა უმადლოდეს თავის თავისუფლებას, და ჩვენი ეპოქის უდიდეს ადამიანზე, რომელთანაც დაკავშირებულია უნგრელი ხალხის თავისუფლება და აღმავლობის განთიადი, — ამხანაგ სტალინზე. როცა ვამბობთ — სოციალისტური უნგრეთის განთავისუფლება, ჩვენი ახალი ცხოვრება, — ჩვენ კვლავ და კვლავ ვფიქრობთ სტალინზე. განთავისუფლების დღეს ჩვენი ხალხი კვლავ იმეორებს თავის აღთქმას, რომ არასოდეს, არასოლეს ოდნავაც არ დათმობს იმ მეგობრობას, რომელიც მას აკავშირებს დიდ საბჭოთა კავშირთან, არამედ, პირიქით, განუწყვეტლივ განამტკიცებს, გააღრმავებს ამ ცხოველმყოფელ ურთიერთობას.

ჩვენი ქვეყანა, აღნიშნა მომხსენებელმა, 8 წლის წინათ ევროპის ჩამორჩენილი ქვეყნების რიცხვს ეკუთვნოდა, ახლა კი გადაიქცა განვითარებულ, ინდუსტრიულ ქვეყნად, სადაც ვითარდება და ჰყვავის მრეწველობის ყველა დარგი. მაგრამ განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება თანამედროვე სახალხო მეურნეობის საფუძველი — მძიმე მრეწველობა. ჩვენმა საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობამ, რომელმაც ჰორტის რეჟიმის დროს 12 წელიწადში, 1926-დან 1938 წლამდე, წარმოება გაადიდა სულ მხოლოდ 10,6 პროცენტით, 1952 წელს, მხოლოდ ერთ წელიწადში, წარმოება გაადიდა 23,6 პროცენტით. შარშან ჩვენ ერთისამად მეტი სამრეწველო ნაწარმი გამოვუშვით, ვიდრე 1938 წელს, ამასთან მათ შორის არის ისეთი ნაწარმი, როგორც ტროლეიბუსები, მუხლუხა ტრაქტორები, საზომი ხელსაწყოები, რომლებსაც წინათ უნგრეთში ყურმოკრულად თუ იცნობდნენ. არპად ხაზიმ შემდეგ აღნიშნა განვითარების უდიდესი გზა, რომელიც რვა წელიწადში განვლო სოფლის მეურნეობამ. ჩვენი სახელმწიფო, თქვა არპად ხაზიმ, სულ უფრო მეტ ზრუნვას იჩენს მშრომელი ადამიანისათვის, დედისა და ბავშვისათვის, ოჯახისათვის. კულტურა, ცოდნა, განათლება ხალხის კუთვნილება გახდა. ახლა უნგრეთის ინსტიტუტებში სწავლობს ერთიორთხად მეტი სტუდენტი, ვიდრე ძველი წყობილების დროს. 10 ათას მცხოვრებზე მოდის უმაღლეს სასწავლებელთა 51 სტუდენტი, ე. ი. ბევრად მეტი, ვიდრე ინგლისში, საფრანგეთში, დანიაში, შვეიცარიასა და დასავლეთის სხვა ქვეყნებში.

ახლა, რესპუბლიკის სახელმწიფო კრების არჩევნების წინ, განაგრძო არპად ხაზიმ, ჩვენს წინაშე დგას ამოცანა — კიდევ უფრო მყარი და მტკიცე გავხადოთ ჩვენი ხალხის ერთიანობა.

დაე, თქვა დასასრულ მომხსენებელმა, საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლების დღე გახდეს ჩვენი წარმატებებისა და კიდევ უფრო დიდ გამარჯვებათა წყარო. დაე, ის სიყვარული და მადლობა, რომლებითაც ამ დღეს ჩვენს განმათავისუფლებელზე — საბჭოთა კავშირზე ვფიქრობთ, ორი ხალხის სამარადისო მეგობრობის მუდმივ წყაროდ გადაიქცეს.

უნგრელმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა განთავისუფლების დღე

ბუდაპეშტი, 4 აპრილი. (საკდესი). დღეს უნგრელი ხალხი ზეიმით აღნიშნავს საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლების დღეს. ბუდაპეშტი სადღესასწაულოდ არის მორთული. ქუჩებში გამოფენილია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის, მატიას რაკოშის, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა პორტრეტები.

გაზეთები ათავსებენ უნგრეთის განთავისუფლების მერვე წლისთავისადმი მიძღვნილ ვრცელ მასალებს.

უნგრეთის დედაქალაქში, სხვა ქალაქებსა და სოფლებში დღეს გაიმართება მასობრივი სახალხო სეირნობანი. საწარმოთა ბევრმა კოლექტივმა გამოგზავნა პატაკი იმ შრომით წარმატებათა შესახებ, რომლებიც მათ მოიპოვეს ლირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავ შეჯიბრებაში.

დღეს ბუდაპეშტში ი. ბ. სტალინის სახელობის მოედანზე გაიმართა უნგრეთის სახალხო არმიის ნაწილების პარადი. მთავრობის ტრიბუნაზე ასიათან უნგრეთის მშრომელთა პარტიის და უნგრეთის მთავრობის ხელმძღვანელები უნგრეთის მშრომელთა პარტიის გენერალური მდივნის და უნგრეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მატიას რაკოშის მეთაურობით, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე იშტვან დობი, სსრ კავშირის ელჩი უნგრეთში ე. დ. კისელიოვი, საბჭოთა არმიის მიერ უნგრეთის განთავისუფლების დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად მოსული რიგი ქვეყნებიდან ჩამოსული მთავრობათა დელეგაციების მეთაურები.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა არმიის გენერალმა მიჰალ ფარკაშმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ უნგრელ ხალხს გულში აქვს სამარადისო სიყვარული და მადლობა საბჭოთა კავშირისადმი, დიდი სტალინისადმი. ფარკაშმა უნგრელ ხალხს მოუწოდა კიდევ უფრო ზეციოთად იშრომოს, კიდევ უფრო შეუპოვრად იბრძოლოს საწარმოო გეგმების შესრულებისათვის, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმოს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დროშის ქვეშ მატიას რაკოშის ხელმძღვანელობით.

შენიშვნები ახალ წიგნებზე

„სიცოცხლის გზა“

მწერალ გ. ჩიქოვანს თავის ახლად გამოცემულ წიგნში შეტანილი აქვს სხვადასხვა წლებში დაწერილი მოთხრობები. ყველაზე ადრინდელი მათ შორის დათარიღებულია 1933 წლით, ხოლო უკანასკნელი — 1952 წლით. მკითხველს საშუალება ეძლევა თვალი გადაავლოს მწერლის შემოქმედების განვითარების გზას, შეაფასოს, თუ როგორ ასახა მან თავის ნაწარმოებებში დროის ამ ხანძლიზე მომხდარი საზოგადოებრივი მოვლენები, როგორია მისი მოთხრობების თემატიკა და პროფესიული დოსტატების ხარისხი.

წიგნში მოთავსებულ მოთხრობებში ასახულია საკოლმეურნეო მოძრაობის პირველ წლებში გაჩაღებული კლასობრივი ბრძოლა („სიკვდილი თხრილში“, „კაცი გამოქვაბულში“), სამამულო ომის წლები („მეორედ შეხვედრა“, „დაბრუნება“, „სიცოცხლის გზა“), ომისშემდგომი მშვიდობიანი მშენებლობა („ფართო გზაზე“).

მწერლის ღირსებაა, რომ მისი მოთხრობები ინტერესით იკითხება. გ. ჩიქოვანი საკმაოდ კარგად ფლობს თხრობის ხელოვნებას, სიუჟეტის მოხერხებულად გაშლის ტექნიკას. ამა თუ იმ გმირის სახის მოსაზვისას ავტორის ყურადღების ცენტრშია ამ გმირის ხასიათის არსებითი მხარეები.

გ. ჩიქოვანი თავის მოთხრობებში უმთავრესად ასახავს ჩვენი ცხოვრების ამა თუ იმ საფეხურზე წამოჭრილ აქტუალურ, დროის განსაზღვრული მონაკვეთის მნიშვნელოვან საკითხებს, მოგვლენებს.

აღსანიშნავია, რომ მწერლის მხატვრული ოსტატობა უფრო ზრდის პროცესშია. თუ ადრინდელ მის მოთხრობებში ავტორის უფრო გაუბედავი, გამოუცდელი ხელი იგრძნობა, ამა თუ იმ პერსონაჟის გარშემო იგი თუ ხელოვნურ სიტუაციებს ქმნის, მხატვრულად არადამაჯერებელ სურათებს ხატავს, უკანასკნელ მოთხრობებში ეს ნაკლოვანებანი საგრძნობლად დაძლეულია. ავტორი ამ მოთხრობებში ცხოვრების დაკვირვების მეტ უნარს იჩენს, უფრო ფართოდ და მხატვრული თვალით ხედავს მოვლენებს, მეტი მხატვრული დამაჯერებლობით ამუქებს მათ.

მოთხრობაში „კაცი გამოქვაბულში“, რომელიც 1935 წლით არის დათარიღებული, უჩვეულო ამბავი აღწერილი. მოთხრობის აზრი არ არის მკაფიოდ გამოხატული, გაურკვეველი რჩება, რის თქმა უნდა ავტორს ამ მოთხრობით.

ხალისიანი საღებავებით, მსალის კარგი ცოდნით არის დაწერილი მოთხრობა „მუგობრები“. ორ ახალგაზრდას, ჯონდოსა და ბარდღას, ერთი ქალიშვილი — ძაბული უყვარს. ძაბულის ჯონდო მოსწონს. ორივე ახალგაზრდა ფინეთის ფრონტზე მოხვდება. ჯონდო მძიმედ დაიჭრება ბრძოლაში და თეთრფინელებს ტყვედ ჩაუვარდება. ბარდღაში მეგობრობისა და მოვალეობის გრძნობა იმარჯვებს, ჯონდოს ტყვეეობისგან დაიხსნის. შემდეგ ბარდღაც დაიჭრება. ორთავეს ჰოსპიტლის ერთ ოთახში მოათავსებენენ. აქ ჯონდო და ბარდღა სიხარულით ისმენენ რადიოთი გადმოცემულ ძაბულის სიმღერას. მოთხრობის ზნეობრივი ძალა მაღალია. საერთო საქმის წინაშე პირადი განწყობილებანი და ურთიერთობანი მხედველობაში აღარ მიიღება. „შეურაცხყოფილი“ და ძაბულის მიერ „უარყოფილი“ ბარდღა მზად იქცა, საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩაგდოს, ოღონდ კი იხსნას საბჭოთა მებრძოლი ჯონდო. ამაში მოჩანს პატრიოტიზმის გამოვლინება.

მაგრამ არც ეს მოთხრობაა თავისუფალი ხარვეზებისაგან. მას ერთგვარი ნაძალადევობა ემჩნევა სიტუაციების შექმნაში. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ძაბულის მიერ ჯონდოს გაცილების ეპიზოდი. აქ გმირის უფრო ერორტული მხარეა ხაზგასმული, ვიდრე ის თვისება, რომელიც მოწონაგე ადამიანს უნდა ახასიათებდეს.

მოთხრობები „მეორედ შეხვედრა“, „დაბრუნება“ და „სიცოცხლის გზა“ სამამულო ომის თემაზეა დაწერილი. დასახელებულ ნაწარმოებებში ავტორი გვიჩვენებს ჩვენი ხალხის შეუპოვარ ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ, იმ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, რომელიც მან სამამულო ომის დროს გამოიჩინა, იმ პატრიოტულ თავდადებას, რამაც იგი მტერზე სრულ გამარჯვებამდე მიიყვანა.

აღნიშნულ მოთხრობებში მხატვრული ძალითა და სიმძაფრით გამოირჩევა „სიცოცხლის გზა“. მოთხრობა სწორად ასახავს საბჭოთა ახალგაზრდობის გმირულ სულისკვეთებას, მის ერთგულებას სტალინის საქმისადმი. მოთხრობის მთავარი გმირი ჯოტო მოცემულია განვითარების, ზრდის პროცესში. მოთხრობა კარგად არის დაწერილი და ღრმა შთაბეჭდილებასაც ტოვებს მკითხველზე, რომ ამ შთაბეჭდილებას „ყველასაგან მივიწყებულ ცრუმორწმუნეობის ნაშთის“ — ავგაროზის ისტორიის ჩართვა არ ანელებდეს. ავგაროზის ამსავი ავტორის მიერ ხელოვნურად შექმნილი სიუჟეტური კვანძია, რაც არაფერით არ არის დამახასიათებელი ისეთი საბჭოთა ახალგაზრდისათვის, როგორიც ჯოტოა.

მეტისმეტი მუქი ფერებით არის დაწერილი მოთხრობა „დაბრუნება“. მართალია უკანასკნელში ბევრი კარგად შესრულებული ფსიქოლოგიური სურათია, ბევრი ეპიზოდი შინაგანი მღელვარებით გამოირჩევა, მაგრამ მთლიანად მოთხრობა მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს. მას გლვრავს და ზარის, სევდის ელფერი დაჰკრავს, მოკლებულია პერსპექტივას.

„ფართო გზაზე“ ომისშემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის თემაზეა აგებული. ცოცხალი, მშიერი ფერებით არის დახატული მრავალ პირველრამს გამოფენილი ბრიგადის მეთაური მარიამი, რომელიც ახლა ქვეყნის მოწინავე ადამიანთა შორის არის ჩამდგარი. მარიამი ადრე დაქვრივდა და დიდი ვაივაგლახით გაზარდა სამი შვილი, ქვეყანას სამი სახელოვანი მუშაკი აღუზარდა. თეთონო ჩაის საუკეთესო მკრეფავი გახდა. ღარიბ-ღატაკი ქალიდან შეძლებულ, ცნობილ მუშაკად იქცა. კოლმეურნეობას, რომელშიც მარიამი მუშაობდა, წინ გაუსწრო მეზობელი სოფლის კოლმეურნეობამ, სადაც მარიამის მიერ აღზრდილი მაია მუშაობს. რაიკომის მდივანი მარიამსა და მწონავ პლატონს გზავნის ამ მოწინავე კოლმეურნეობაში იმ მიზნით, რომ გაეცნონ მუშაობის ახალ მეთოდს, მაიას ნოვატორულ საქმიანობას. ავტორს კარგად აქვს აღწერილი მათი მგზავრობა, ის საერთო შრომითი აღმავლობა, საქეიფო საქმეებით დაინტერესება, რომელიც მთელი საბჭოთა ხალხისათვის არის დამახასიათებელი. ავტორი სწორად გადმოსცემს სოციალისტური შეჯიბრების ბუნებას, მის აღმზრდელობითს მნიშვნელობას. ღრმა განცდით არის გადმოცემული მარიამისა და მაიას ურთიერთობა, ადამიანური გრძნობა, რომელიც ამ ორ მოწინავე მუშაკს აერთიანებს.

მოთხრობა გაცილებით მოიგებდა და ზემოქმედების მეტ ძალას მიიღებდა, რომ მასში ცხოვრების მეტი ღრმა ცოდნა მოჩანდეს. მარიამი და პლატონი ჩადიან მეზობელ კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობა „იმედში“ ჩასვლა ისეა აღწერილი, თითქოს სამუშაო ადგილზე აღარავინ იყოს. „ვის სრ ნახავდით აქ (ლაპარაკია რკინიგზის ბაქანზე): კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ბუხგალტერს, აგრონომს, ინჟინერს, ჩაის ფაბრიკის მუშებსა და მოსამსახურეებს, მასწავლებლებს, საბჭოთა მეურნეობის თანამშრომლებს, ექიმს, მსახიობს. აქ იყო საკოლმეურნეო სოფლის ინტელიგენცია“: ისე გამოდის, რომ მთელი სოფელი ბაქანზე იყო თავმოყრილი.

მაია ჩაის დარგში ნოვატორია. მისთვის თავდაჰირველად წინააღმდეგობა გაუწევიათ, რაც მოწონავე მუშაკს დაუძლევია ავტორი გაკვრით, ერთი წინადადებით ეხება ამას. გადაჭარბებულ სიძუნწეს იჩენს წინააღმდეგობათა აღმართვისა და მათი დაძლევის აღწერის საქმეში, თითქოს მაიას და მთელ კოლმეურნეობას უკვე აღარაფერი უშლით ხელს, ყველაფერი რიგზეა. ძლიერ სქემატურად ჰყავს დახატული ავტორს რაიკომის მდივანი.

მოთხრობაში გვხვდება ასეთი ენობრივი შეუსაბამობანი: „მაღალ კისერზე შემდგარი თავი“ (გვ. 84), „ფეზაზურად სცადა, ვერ მოახერხა, უწყინა თავისთავს“ (იქვე), „რა ვუყოთ, წაღები თუ გავიწმინდე, წაღები ფეხზე მაცვია, ყაბალახს თავზე ვიკრავო“ (იქვე) და სხვ.

გაუგებარია რას ნიშნავს „სამო სისუსტე“, ანდა შეიძლება, რომ „პატარა წვერმა, მაღალმა შუბლმა და მელოტმა თავმა“ კაცს ლომის იერი მისცეს?..

ავტორი თავის გმირებს ხშირად ასეთ ეგზოტიკურ სახელებს არქმევს: მუია, ზორკანი, შაგანა, გვაჩა და ა. შ.

ავტორს ეს ნაკლი რომ დაეძლია, ცხადია, მისი ნაწარმოები მეტ მხატვრულ ღირსებას შეიძენდა; უფრო მკაფიოდ და დამაჯერებლად გვიჩვენებდა იმ ნათელ გზას, რომელსაც ჩვენი ხალხი მიჰყვება, მტკიცედ მიდის რა კომუნიზმის მწვერვალებისაკენ.

შ. აფხაიძე.

„საგაკვშვო ლექსები და პოემები“

ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს პატარა მოქალაქეებს, საბჭოთა ხალხის, პარტიის დიდი სიყვარულითა და ზრუნვით გარემოსილ ნორჩ თაობას მიუძღვნა პოეტმა ა. შენგელაიამ ლექსებისა და პოემების კრებული, რომელიც ახლახან გამოსცა საბჭოტგამმა. პოეტი დიდი გულწრფელობით უმღერის პატარებს, ასწავლის და უნერგავს მათ სამშობლოს, ხალხისა და პარტიის სიყვარულს.

სტალინის სახელი ბედნიერებისა და ძეციდობის სიმბოლოდ არის ქცეული. თვითეული პოეზია, მოსწავლე ისწრაფვის ნახოს დიდი ბელადის სამშობლო ქალაქი — გორი. ვის არ ნახავთ აქ: რუსს, უკრაინელს, ბაშკირს, ესტონელს... ეს სურათი კარგად აქვს გადმოცემული პოეტს ლექსში:

მოსულხართ, სახლი რომ ნახოთ
პატარა, მაგრამ დიადი,
რომელმაც შობა მზეკაცი,
რომ გაეფანტა წყვდიადი“...

ლექსში „პიონერთა მგზავრული“ ჭეშმარიტად არის დახატული სამშობლო —

„არ გვეგულება ასე ლამაზი,
ასე წარმტაცი და დიდებული,
როგორიც ჩვენი ქვეყანა არის
სტალინის სიბრძნით განათებული“.

კრებულში შესულია აგრეთვე რამდენიმე კარგი ლირიკული ლექსი დიდი სამამულო ომისა და საბჭოთა ხალხის ომისშემდგომი შემოქმედებითი შრომის თემებზე.

შვეიცის კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა

სტოკჰოლმი, 4 აპრილი. (საკდესი). ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში შვეიცის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ჰილდინგ ჰაგბერგმა გააკეთა საგარეო და საშინაო ვითარების ანალიზი, შეეხო შვეიცის პროგრესული ძალების ამოცანებს მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, შვედი ხალხის სასიცოცხლო უფლებებისათვის ბრძოლაში.

გადავიდა რა შვეიცის ეკონომიკური მდგომარეობის საკითხებზე, ჰაგბერგმა აღნიშნა, რომ შვეიცის მთავრობის ახალნდელმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ გამოიწვია შვეიცის ექსპორტის შემცირება, შვეიცის საწარმოებში დაკვეთების შემცირება, კონკურენციის გამწვავება საშინაო ბაზარზეც კი. განუწყვეტლივ მატულობს უმუშევრობა. არის გზა, რომელსაც შეუძლია გამოიყვანოს შვეიცია შექმნილი მდგომარეობიდან, განაცხადა ჰაგბერგმა. ეს არის აღმოსავლეთთან, საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ვაჭრობის გადიდების გზა.

დასასრულ ჰაგბერგმა განაცხადა, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა პირველ პლანზე უნდა იდგეს. დემოკრატიულ უფლებათა დაცვა განუყრელად დაკავშირებულია მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლასთან.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების შემდეგ ყრილობამ მოისმინა ცენტრალური კომიტეტის მდივნის ერიკ კარლსონის მოხსენება პარტიის ორგანიზაციული ამოცანების შესახებ. მოხსენების გამო გაიმართა კამათი.

სტოკჰოლმი, 4 აპრილი. (საკდესი). შვეიცის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე გრძელდება კამათი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

ყრილობის სახელზე მოდის მისალმებანი კომუნისტური და მუშათა პარტიებისაგან. მისასალმებელი დეპეშები მოვიდა ჩინეთის კომუნისტური პარტიისაგან, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის შრომის პარტიისაგან, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, ალბანეთის კომუნისტური და მუშათა პარტიებისაგან.

დღეს ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და ბულგარეთის და საფრანგეთის კომუნისტური პარტიების წარმომადგენლებმა.

სტოკჰოლმი, 5 აპრილი. (საკდესი). დღეს მუშაობას განაგრძობდა შვეიცის კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა.

მოხსენებაში შვეიცის კომპარტიის ორგანიზაციული ამოცანების შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ერიკ კარლსონმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში მთავარი ყურადღება ექცეოდა მუშათა მოძრაობაში გათიშვის დაძლევას, მოქმედების ერთიანობის უზრუნველყოფას და მასების მობილიზაციას მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და საარსებო უფლებებისათვის ბრძოლაში.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც მშრომელთა მასობრივ ორგანიზაციებთან, კადრებთან მუშაობაშია და დასახა ღონისძიებანი პროფკავშირებში, ახალგაზრდათა და ქალთა ორგანიზაციებში, მოსამსახურეთა შორის პარტიის საქმიანობის გასაუმჯობესებლად. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ საჭიროა კადრების იდეური წრთობა და კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღება.

ჰ. ჰაგბერგისა და ე. კარლსონის მოხსენებათა გამო გამართულ კამათში გამოსული დელეგატები ლაპარაკობდნენ შვეიცის მშრომელთა გადაუდებელ ამოცანებზე, შვეიცის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა გუნარ ემანის მოხსენება პარტიული პრესის გაუმჯობესებისა და გავრცელების ღონისძიებათა შესახებ.

ყრილობამ მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა.

დიდი ყურადღებით მოსმენილ იქნა პერ-ოლოვ ცენსტრენის მოხსენება „ი. ბ. სტალინი — მარქსიზმ-ლენინიზმის გენიალური თეორეტიკოსი“.

საღამოს სხდომაზე მოხსენება პარტიის ახალი პროგრამის შესახებ — „შვეიცის გზა სოციალიზმისაკენ“ გააკეთა კ. ჰ. ჰერმანსონმა.

დანიის კომპარტიის წინასაარჩევნო მიმართვა დანიელი ხალხისადმი

კოპენჰაგენი, 5 აპრილი. (საკდესი). გაზეთმა „ლანდ ოგ ფოლკმა“ გამოაქვეყნა დანიის კომუნისტური პარტიის მიმართვა დანიელი ხალხისადმი პარლამენტის მომავალ, 21 აპრილის არჩევნებთან დაკავშირებით. მიმართვაში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე დანიაში გაიდიდა ფართო მოხმარების საქონლის ფასები, გადასახადები, იმატა უმუშევრობამ და ბინების ნაკლებობამ; ამის შედეგად დანიელი ხალხის მატერიალური ცხოვრების დონე მკვეთრად დაქვეითდა.

როგორც მიმართვაშია აღნიშნული, ყოველივე ამის მიზეზი ის არის, რომ დანია სულ უფრო დამოკიდებული ხდება ამერიკის შეერთებული შტატებისაგან და რომ ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პარტიების მმართველრი დანიის მთავრობა ახორციელებს დანიის მილიტარიზაციის პოლიტიკას.

კომუნისტური პარტია მოუწოდებს დანიელ ხალხს ხმა მისცეს მილიტარიზაციის წინააღმდეგ, სამხედრო სამსახურის ვადის გაგრძელების წინააღმდეგ, ხმა მისცეს ახლანდელი მთავრობის მიერ შემოღებული პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების გაუქმებას.

„როცა მილიტარიზაცია შეწყდება, — ნათქვამია მიმართვაში, — და ჩვენი ქვეყანა აღარ დაეორჩილება უცხო სახელმწიფოს დიქტატს ვაჭრობის დარგში, შეიძლება მოწესრიგდეს დანიის ეკონომიკა და ბოლო მოეღოს უმუშევრობას, შეიძლება საკმაო რაოდენობით აშენდეს საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები და მოხერხდეს ბინის სამართლიანი ქირის დაწესება. საჭიროა დაუყოვნებლივ გადიდდეს მოხუცებულობისა და ინვალიდობის პენსიების ოდენობა და გაუმჯობესდეს სოციალური უზრუნველყოფა. ახალგაზრდობას უნდა მიენიჭოს საარჩევნო უფლება და მისთვის უზრუნველყოფილ იქნას თანასწორუფლებიანობა განათლების მიღების დარგში, მიუხედავად მშობლების მატერიალური მდგომარეობისა. უნდა გაუმჯობესდეს ახალგაზრდობის ცხოვრების პირობები.

მშვიდობა, თავისუფლება და ეროვნული სუვერენიტეტი შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ ისეთი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გაბრძოლებელი, რომლის მიზანია კავშირის გაწყვეტა ატლანტიკის ბლოკთან, იმ პოლიტიკის მეოხებით, რომელიც ხელს შეუწყობს თანამშრომლობასა და მშვიდობას.

არ შეიძლება შეწყნარებულ იქნას ახალი ოკუპაცია — უცხოეთის ჯარების განლაგება დანიის ბაზებში, არ შეიძლება შეწყნარებულ იქნას დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის მომაკვდინებელ საფრთხეს წარმოადგენს.

დანიის ახალი კონსტიტუციის პროექტის მე-20 ანტიეროვნული მუხლი უნდა გაუქმდეს. საჭიროა კონსტიტუციაში შეტანილ იქნას დემოკრატიული ცვლილებანი, არ შეიძლება შეწყნარებულ იქნას, რომ უცხოელები ახორციელებდნენ ძალაუფლებას დანიაში.

ეს შეესაბამება ხალხის უმრავლესობის მისწრაფებებს და ჩვენი ქვეყნის ინტერესებს. ეს არის დანიელი ხალხის თავისუფლების, მშვიდობისა და კეთილდღეობის „გზა“.

ეგვიპტის კომპარტიის ხელმძღვანელობის ცნობა

რომი, 5 აპრილი. (საკდესი). იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელიც შეიცავს პროტესტს სენატის დათხოვნისა და იტალიაში ანტიდემოკრატიული საარჩევნო კანონის მოქმედების დაწყების წინააღმდეგ. „ყველა კატეგორიის მილიონობით მშრომელმა და ყველა ფენის მოქალაქეებმა, — ნათქვამია ცნობაში, — აშკარად დაგმეს უსამართლო საარჩევნო კანონი და გამოცხადება იმ ხმის მიცემის შედეგებისა, რომელიც ნამდვილად რესპუბლიკის სენატში არ მომხდარა.

...კომპარტიის ხელმძღვანელობა ამხილებს იმ ძალადობის აქტებს, რომლებიც ქრისტიანმა დემოკრატებმა ჩაიდინეს, აგრეთვე სერიოზულ საფრთხეს, რომელიც თავისუფლებას მოელინა. სიფხიზლე და რესპუბლიკის ინსტიტუტების დაცვა დღეს ყოველგვარი პოლიტიკური მიმართულების ყველა პატიოსანი და გულწრფელი დემოკრატის პირველი რიგის მოვალეობაა“.

იგალიის პარლამენტის დათხოვნა

რომი, 4 აპრილი. (საკდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტმა ეინაუდიმ დღეს ხელი მოაწერა დეკრეტს პარლამენტის დათხოვნისა და 7 ივნისს პარლამენტის ახალი არჩევნების მოწყობის შესახებ.

დე გასპერის მთავრობის მოთხოვნით დათხოვნილია არა მარტო დეპუტატთა პალატა, არამედ სენატიც. რომლის რწმუნებათა ვადა გადის მხოლოდ 1954 წელს.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დე გასპერიმ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მთავრობამ „მაზანწმეწონილად“ მიიჩნია ვადამდე დათხოვნა სენატ. და ერთსა და იმავე დროს მოეწყო ორივე პალატის არჩევნები. რადგან როგორც ერთი, ისე მეორე პალატის არჩევნების წესი ახლა განსხვავდება იმ წესისაგან, რომელიც 1948 წელს არსებობდა“.

როგორც ცნობილია, დეპუტატთა პალატის ახალი არჩევნები მოხდება იმ კანონით, რომელიც იტალიის პარლამენტის მთავრობის უმრავლესობამ ამ დღეებში მიიღო.

რაც შეეხება სენატის არჩევნებს, აქ ძალაში რჩება წინანდელი, 1948 წლის საარჩევნო კანონი, მაგრამ ძალას კარგავს კონსტიტუციის სპეციალური მუხლი, რომლის მიხედვითაც პირველი მოწვევის სენატის შემადგენლობაში „უფლებით“ შეყვანილი იყვნენ ის პოლიტიკური მოღვაწეები, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. კონსტიტუციით დადგენილი სენატის ასეთი შემადგენლობა ამ პალატას ანიჭებდა ანტიფაშისტურ ხასიათს, რაც დღემდე მეტად აბრკოლებდა რეაქციულ ღონისძიებათა განხორციელებას.

დემოკრატიული გარდაქმნები ვიეტნამში

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებანი

შანხაი, 4 აპრილი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, რომ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ხორციელდება შემდგომი დემოკრატიული გარდაქმნები. მარტის შუა რიცხვებში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია ვიეტნამის შემდგომი დემოკრატიზაცია, მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესება და ხალხის მასების სიფხიზლის გაძლიერება შინაური და გარეშე მტრების ხრიკების მიმართ.

მიღებულ იქნა ბრძანებულება მიწის შესახებ, რენტისა და მეკანაური ფასების შემცირების შესახებ, ფრანგი კოლონიზატორების და ვიეტნამელი მოღალატეების კუთვნილი მიწისა და ქონების საბოლოო განაწილების შესახებ, სათემო მიწების იმ გლეხთა შორის საბოლოო განაწილების შესახებ, რომელთაც ცოტა მიწა აქვთ ან სულ არა აქვთ.

გარდა ამისა, მიღებულ იქნა ბრძანებულება, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის ზომებს იმ პირთათვის, ვინც ილაშქრებს მთავრობის აგრარული პოლიტიკის წინააღმდეგ და აგრარული პოლიტიკის განხორციელების მიზნით ხალხის მასების მობილიზაციის წინააღმდეგ. აგრეთვე ბრძანებულება იმის შესახებ, რომ შეიქმნას სახალხო სასამართლოები, რომლებიც გაარჩევენ აგრარული პოლიტიკის დარღვევის აქტების შესახებ საქმეებს. და იმის შესახებ, რომ მობილიზებულ იქნას ხალხი საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, სახალხო ხელისუფლების განსამტკიცებლად და ვიეტნამის საბოლოო განთავისუფლებისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად.

სამხედრო წესების განგრძობა ეგვიპტეში

კაირო, 5 აპრილი. (საკდესი). გაზეთ „ალ-მისრის“ ცნობით, ეგვიპტის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა კიდევ ერთი წლით ვანაგრძოს ეგვიპტეში საომარი წესების შემოღების კანონის მოქმედება.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 4 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ განვლილ დღეს კორეის სახალხო არმიის და ჩინელ სახალხო მოხალისეთა შეერთებულ სეგმიადონის რაიონში საარტილერიო სროლას ეწეოდნენ მტრის წინააღმდეგ.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავი.

ფხენიანი, 5 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები პენამდონის რაიონში უმნიშვნელო ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის მზვერავთა რაზმებთან.

გუშინ ღამით ამერიკის თვითმფრინავები კვლავ დაესხნენ თავს მშვიდობიან დასახლებულ რაიონებს ფხენიანის მიდამოებში და ბარბაროსულად უწესრიგოდ დაბომბეს ისინი. ქალაქის მშვიდობიან მცხოვრებთა შორის არის ბევრი მსხვერპლი, დანგრეულია დიდძალი საცხოვრებელი სახლი და მიწური.

დღეს თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ორი თვითმფრინავი.

ჩინელი ხალხი მხარს უჭერს ჯოუ ენ-ლაის, კიმ ირ სენისა და ვ. მ. მოლოტოვის განცხადებებს კორეის საკითხზე

პეკინი, 3 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „ჟენ-მინ ჟიბაო“ დღეს იუწყება, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დემოკრატიული პარტიები და ჯგუფები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები მტკიცედ უჭერენ მხარს ჯოუ ენ-ლაის, კიმ ირ სენისა და ვ. მ. მოლოტოვის განცხადებებს კორეის საკითხზე.

გომინდანის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარემ ლი ძი-შენმა, ჩინეთის დემოკრატიული ლიგის თავმჯდომარემ ჯან ლანმა, ეროვნული რეკონსტრუქციის დემოკრატიული ასოციაციის თავმჯდომარემ ხუან ან-პეიმ, დემოკრატიის განვითარების ხელშემწყობი ასოციაციის თავმჯდომარემ მა სიუ-ლუნმა, ჩინეთის მუშათა და გლეხთა დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ ჯან ბო-ძიუნმა, საზოგადოება „ძიუსანის“ თავმჯდომარემ სიუი დე-ხენმა და ჯიგუნდანის პარტიის და ტაივანის დემოკრატიული თვითმმართველობის ლიგის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ჯოუ ენ-ლაის, კიმ ირ სენისა და ვ. მ. მოლოტოვის განცხადებებს კორეის საკითხზე. უპარტიო დემოკრატმა, ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს წევრმა ჩენ შუ-ტუნმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯოუ ენ-ლაის, კიმ ირ სენისა და ვ. მ. მოლოტოვის განცხადებანი მოწმობენ მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის ერთიანობას. მთელი ჩინელი ხალხი, აზიისა და მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხები, თქვა მან, მხარს უჭერენ ამ განცხადებებს.

ჯოუ ენ-ლაის, კიმ ირ სენისა და ვ. მ. მოლოტოვის განცხადებებს მხურვალედ იწონებენ პეკინის მშრომელები. შიძინშანის ელექტროსადგურის მუშები აცხადებენ, რომ მხარს დაუჭერენ ამ განცხადებებს ახალი შრომითი გამარჯვებებით. ჩინელ სახალხო მოხალისეთა ოჯახები სულით და გულით უჭერენ მხარს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მთავრობების განცხადებებს.

ტიანძინის მთელი მოსახლეობა, წერს შემდეგ გაზეთი, გადაჭრით უჭერს მხარს ჯოუ ენ-ლაის, კიმ ირ სენისა და ვ. მ. მოლოტოვის განცხადებებს. ეს განცხადებანი, თქვა შრომის გმირმა პინ ჯან-იუმ, მოწმობენ ჩვენს მუდმივ მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკას.

ინგლისის საზოგადოებრიობა მოითხოვს კორეაში მშვიდობის დამყარებას

ბევინის გამოსვლა

ლონდონი, 2 აპრილი. (საკდესი). გუშინ „ჩინეთთან მშვიდობისათვის ბრძოლის საბჭომ“ ლონდონში მოაწყო მიტინგი, რომელსაც სამი ათასამდე კაცი დაესწრო. მიტინგზე მთავარი ორატორი იყო ინგლისის ყოფილი მინისტრი, პარლამენტის წევრი, ლეიბორისტი ენიურინ ბევინი, რომელიც ამას წინათ დაბრუნდა შორეულ აღმოსავლეთში მგზავრობიდან. გარდა ამისა, გამოვიდნენ „ჩინეთთან მშვიდობისათვის ბრძოლის საბჭოს“ წევრი ქ-ნი სელვინ-კლარკი, ცნობილი მეცნიერი, მიმმხილველი რიტნი კოლდერი და პარლამენტის წევრი ლეიბორისტი რ. სორენსენი. მიტინგს თავმჯდომარეობდა ლეიბორისტი ლორდი ფარნინგტონი.

ბევინმა მოიწონა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ გადადგმული სამშვიდობო ნაბიჯები და ტაშის გრიალში განაცხადა, რომ კორეაში ყოველ მოწესრიგებას დაუყოვნებლივ უნდა მოჰყვეს ფორმოზაზე ჩან კაი-შის ჯარების განიარაღება.

როგორც ბევინმა თქვა, შორეულ აღმოსავლეთში გამგზავრებამ იგი დაარწმუნა, რომ აზიის მთელი კონტინენტი წინააღუდგება ყოველგვარ ცდას — თავს დაესხან კონტინენტურ ჩინეთს.

ბევინმა გამოთქვა ის აზრი, რომ ინგლისმა ფართოდ უნდა განავითაროს ვაჭრობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

„ჩვენ გვსურს, — თქვა მან, — უაღრესად თავისუფალი ვაჭრობა ჩინეთსა და დანარჩენ ქვეყნებთან და რაც შეიძლება მალე“. „ჩვენ უნდა განვუცხადოთ შეერთებულ შტატებს, — განაგრძო ბევინმა, — რომ მზად ვართ ვითანამშრომლოთ მშვიდობის დამყარებაში და არა ომის წარმოებაში. ჩვენ მხარს დაგვიჭერს როგორც ამერიკელი ხალხის დიდი უმრავლესობა, ისე მსოფლიოს სხვა ქვეყნების ხალხთა დიდი უმრავლესობა“.

შემდეგ ბევინმა დასძინა: „მჯერა, რომ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ნაბიჯები გულწრფელია. ეს ნაბიჯები გადადგმულია არა იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირი სუსტია, არამედ იმიტომ, რომ იგი ძლიერია. მას შეუძლია ნება მისცეს თავის თავს გამოიჩინოს ინიციატივა. მაშ გავიაროთ ნახევარ გზაზე მეტი მის შესახვედრად!“ (ხანგრძლივი ტაში).

დასასრულ მიტინგზე მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „მიტინგის მონაწილენი მოუწოდებენ ინგლისის მთავრობას დაუყოვნებლივ განიხილოს ამას წინათ წამოყენებული წინადადებანი შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების შესახებ. მიტინგის მონაწილენი მოითხოვენ ჩან კაი-შის მთავრობის ცნობაზე უარის თქმას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო მთავრობის დაშვებას“. მიტინგის მონაწილენი მოითხოვენ ფორმოზის დემილიტარიზაციას.

სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლა ფილიპინებზე

შანხაი, 5 აპრილი. (საკდესი). როგორც მანილის რადიო გადმოგვცემს, ფილიპინების არმიის შტაბმა გამოაცხადა, რომ მარსში მთავრობის ჯარებსა და ხუკბონგის (სახალხო-განმათავისუფლებელი არმია. —რედ.) რაზმებს შორის მოხდა 131 შეტაკება.

მოკლედ ყოველდღიურ ახალ ამბებზე



თბილისი. ახალი საცხოვრებელი სახლი კამოს ქუჩაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სსრ კავშირის პირველობა კრივში

დამთავრდა ჩვენი ქვეყნის 1953 წლის პირადი პირველობის გათამაშება კრივში. მოსკოვის სახელმწიფო ცირკში ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად იბრძოდა მსატე. მუშუტი, მეორე ქვესაშუალო, მეორე საშუალო და მძიმე წონის 123 მოკრივე, რომელთა შორის იყვნენ რინგის გამოჩენილი ოსტატები ს. შჩერბაკოვი, ნ. კოროლიოვი, ა. შოკიკანი, ა. გრეინერი და სხვ.

დიდი ინტერესი გამოიწვია ფინალურმა ასპარეზობამ, რომელიც 5 აპრილს გაიმართა.

მსატე წონაში რინგზე ერომანეთის შეხვდნენ სპორტის ოსტატი ბ. სტეპანოფი და ვ. დადაევი (ორივე მოსკოვიდან). ბრძოლა ბ. სტეპანოვის უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მისივე გამარჯვებით. ბ. სტეპანოვს მიენიჭა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება.

საერთო ინტერესი იწვევდა მუშუტი წონის მოკრივის ა. გრეინერისა (მოსკოვი) და ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენის ფ. ლომაძის (ქუთაისი) შეხვედრა. ფ. ლომაძე ასეთ დიდ შეჯიბრებაში პირველად იღებდა მონაწილეობას. მან საკავშირო ჩემპიონატში გამოსვლის პირველი დღეებიდანვე მაყურებელთა სიყვარული დაიმახსოვრა, ზედიზედ მოიგო შეხვედრები ძლიერ მოწინააღმდეგეებთან და ფინალში გავიდა.

საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა არმიის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. გრეინერის წინააღმდეგ ფ. ლომაძე ოთხივე რაუნდში შეუპოვრად და ოსტატურად იბრძოდა. მაჯოთა კოლეგიამ მცირე უპირატესობით გამარჯვება და ჩემპიონობა მაიკუთვნა ა. გრეინერს; ფ. ლომაძემ დაიკავა მეორე ადგილი და მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება.

მეორე ქვესაშუალო და მეორე საშუალო წონაში ფინალური შეჯიბრება მოიგეს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ ს. შჩერბაკოვი და ბ. ნაზარენკო.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ა. შოკიკანის (ლიტვის სსრ, „ვალგირისი“) და სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ. კოროლიოვის (მოსკოვი, ემს) შეხვედრა. გაიმარჯვა ა. შოკიკანმა და კვლავ შეინარჩუნა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება მძიმე წონაში.

შენობები სკოლებისათვის

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ყოველწლიურად ემატება სკოლების ახალი შენობები.

უახლოეს ხანებში თბილისის ლენინის სტალინისა და ორჯონიკიძის რაიონებში დაიწყება სკოლებისათვის ახალი სამსართულიანი შენობების აგება. ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყება აგრეთვე ბათუმში.

ამჟამად სკოლების მშენებლობა მიმდინარეობს ქუთაისში, ლაგოდეხის რაიონულ ცენტრში, იმავე რაიონის სოფელ ორჯონიკიძეში და სხვ.

წელს დამთავრდება და მწყობრში ჩადგება ახალი სასკოლო შენობები თელავში, მახარაძეში, სოფელ კიცხში, საგვიჩიოში, ხორგაში, ნოსტალგიაში, ახალსოფელში, ავნევში და სხვ. რვაწლიანი სკოლებისათვის ახალ შენობებს მიიღებენ მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანის, ერევნის, ზიწმენდის, გარდაბნის რაიონის სოფელ ტატიანოგკის მოსწავლეები.

ქარხნის ტექნიკურ ბიბლიოთეკაში

17 წელია სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს და ინჟინერ-ტექნიკოსებს მომსახურებას უწევს ტექნიკური ბიბლიოთეკა, რომლის წიგნის ფონდი 48.590 ტომს შეადგენს.

ქარხნის ტექნიკურ ბიბლიოთეკასთან შექმნილია სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება, რომლის საქმიანობაში ჩაბმულნ არიან ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები. ბიბლიოთეკის საბჭოს წევრები მკითხველთა ფართო აქტივისათვის სისტემატურად კითხულობენ ლექციებს, მოხსენებებს, მართავენ საუბრებს ტექნიკურ საკითხებზე. ინჟინრებმა ნ. ჩერტკოვმა, ზ. მოროზოვამ, ე. ფროლოვამ უკანასკნელი სამი თვის მანძილზე წაიკითხეს შვიდი ლექცია.

მარტო გასულ წელს ბიბლიოთეკამ წიგნი პროპაგანდის მიზნით ქარხნის საამქროებში მოაწყო 46 გასვლა, რომლის დროსაც ინჟინერ-ტექნიკოსები და მუშა-მოსამსახურეები გაეცნენ ახალგამოცემულ პოლიტიკურ და ტექნიკურ ლიტერატურას. სისტემატურად ეწყობა ტექნიკური წიგნებისა და პლაკატების გამოფენები.

„საბჭოთა აჭარა“.

კულტურის სასახლის მშენებლობა

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). წელს დაიწყო მშენებლობა კულტურის სასახლისა, რომელიც ერთ-ერთი ულამაზესი ნაგებობა იქნება რესპუბლიკაში.

კულტურის სასახლეს ექნება მაყურებელთა დარბაზი, რომელიც დაიტევს 750 კაცს, ლენინისა და სტალინის ოთახი, ბიბლიოთეკა, ფოტოლაბორატორია, საბილიარდო, სამუსიკო ოთახი, კაფეტერიტა, სალექციო დარბაზი, კინოდანადგარი და სხვ.

მენდელეევის საზოგადოებაში

8 აპრილს საღამოს 8 საათზე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის აუდიტორიაში შედგება მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების საერთო კრება. დღის წესრიგშია დოცენტ ი. ბაჯაძის მოხსენება — „ი. ბ. სტალინის შრომა — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ და დოცენტ შ. შარაშენიძის მოხსენება — „იდეალიზმის წინააღმდეგ ქიმიაში“.

რედაქტორის მოადგილე

ი. ნატროშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ელექტროტექნიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები სათანადო საბუთებთან ერთად მიიღება ინსტიტუტის დირექციაში (ქ. თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8, პირველი სართული).

კონკურსის ვადა — 15 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

7 აპრილს	ბ. ფალიაშვილი — **აბესალომ და ეთერი**
8 აპრილს	1. ლეონკავალო — **ჯამბაზები** 2. **საკონცერტო განყოფილება**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველო აცხადებს,

რომ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო **ავტოინსპექცია ა. წ. 15 აპრილიდან 10 ივნისამდე** საქართველოს სს რესპუბლიკაში აწყობს მთელი **ავტომოტოტრანსპორტის**, რეზინის შინებიანი ტრაქტორებისა და ავტომისაბმელების ნახევარწლიურ **ტექნიკურ დათვალიერებას.**

ავტომეურნეობათა ხელმძღვანელები და ავტომძღვანების ინდივიდუალური მფლობელები მოვალენი არიან დაუყოვნებლივ შეუდგნენ ავტომოტოტრანსპორტის მომზადებას ტექნიკური დათვალიერებისათვის.

ტექნიკურ დათვალიერებაზე წარსადგენი ავტომოტოტრანსპორტი ტექნიკურად წესიერ მდგომარეობაში და შეღებილი უნდა იყოს, სატვირთო მანქანებს სმ გვერდზე უნდა ჰქონდეთ მათთვის მიკუთვნებული სახელმწიფო ნომრის ნიშნები სტანდარტული ზომისა (სიმაღლე 30 სმ, სიგანე 12 სმ და შტრიხის სისქე 3 სმ).

ტექნიკურ დათვალიერებაზე ავტომოტოტრანსპორტის მიყვანისას სახელმწიფო ავტოინსპექტორს უნდა წარედგინოს:

1. ავტომოტომანქანის ტექნიკური პასპორტი, რომელშიც შევსებული უნდა იყოს VI და VII განყოფილებათა სვეტები შესრულებული რემონტის, შეცვლილი აგრეგატებისა და გიგლილი კილომეტრაჟის შესახებ.

2. სახელმწიფო ბანკის ქვითარი თვითეული ავტომანქანისა და რეზინის შინებიანი ტრაქტორისათვის 5 მანეთის, მოტოციკლისა და ავტომისაბმელისათვის 3 მანეთის გადახდის შესახებ (ფული შეტანილ უნდა იქნას სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე — კარი 12, § 7).

3. ცნობა ავტომოტოტრანსპორტის უწყებრივი კუთვნილების შესახებ.

ქალაქ თბილისში ინდივიდუალური მფლობელნი და ავტომეურნეობანი, რომელთა ავტომანქანების რაოდენობა შეადგენს 3 ერთეულამდე ჩათვლით, ვალდებული არიან თავიანთი ავტომოტოტრანსპორტი ზემოაღნიშნულ ვადებში წარადგინონ ტექნიკურ დათვალიერებაზე ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციაში, სამოქალაქო ქ. № 1, 10-დან 16 საათამდე ყოველდღე, გარდა კვირადღეებისა.

ავტომოტოტრანსპორტის მქონე ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელნი და ინდივიდუალური მფლობელნი ვალდებულნი არიან პირადად უზრუნველყონ აღნიშნულ ვადებში ავტომოტოტრანსპორტის ტექნიკურ დათვალიერებაზე წარდგენა.

ის პირები, რომლებიც ამ მოთხოვნას არ შეასრულებენ, მიეცემიან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსი **ელენტი.**

1953 წლის 4 აპრილი.

7 აპრილს	**ბ. ფალიაშვილი — აბესალომ და ეთერი**
8 აპრილს	1. ლეონკავალო — **ჯამბაზები** 2. **საკონცერტო განყოფილება**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ШВ 00761

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტ